წელიწადი მესამე | ფასი 10 კ. | პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა 20 ნოემბერი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 44

## ჟურნალის შინაარსი

მტკიცე ნაბიჯით სოციალიზმისაკენ; ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები—**ალ. ხელაძე**; რა სურს ემიგრაციას—**ლეო შენგელაია**; სძულთ, მაგრამ იძულებული არიან—**ს. ელიაძე**; „ბრძოლის“ რედაქციას—**ყარიბი**; საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის გამო—**უპარტიო**; სოციალრეფორმისტ ბელადების მოღალატეობის ტრადიცია—**კ. ჭეიშვილი**; საერთაშორისო მდგომარეობა და მოსალოდნელი ომი—**ლ. რევიშვილი**; ნავთლუღის საიდუმლო სტამბა—**უ. ჯაში**; განვლილი დრო—**ვ. საბანაძე**; ორი პერიოდი—**კ. კობახიძე**; ელექტროფიკაცია—**ვლ. პაპავა**; წერილი პროვინციიდან.

# მტკიცე ნაბიჯი სოციალიზმისაკენ

(საქართველოს კომპარტიის მე-5 ყრილობის გამო)

გუშინ დასრულდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობის მუშაობა. პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელ პარტიის უმაღლესი ორგანოს სიტყვას გადაჭრილი მნიშვნელობა აქვს როგორც განვლილი მუშაობის შეფასების საქმეში, ისე მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვაში. კომუნისტური პარტიის წინაშე, რომლის მეთაურობით ძალაუფლების სათავეში მუშათა კლასი და ღარიბი გლეხკაცობაა გაბატონებული და რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას, ერთობ მძიმე და ძნელი ამოცანებია დასახული. მუშათა კლასის მტრები მუდამ იმას გაიძახიან, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვერ შესძლებს სოციალიზმის განხორციელებას და სამეურნეო სიძნელეთა ნიადაგზე უსათუოდ დამარცხდებიანო.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს ისიც ,რომ უკანასკნელ დროს, თვით კომუნისტურ პარტიაშიც გაჩნდა ჯგუფი, რომელიც უიმედოდ უცქერის საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საქმეს და მოუწოდებს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს სწორ, ლენინურ ხაზიდან გადახვევას. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ასხამს ფრთებს კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს თავისი შავი ზრახვების განხორციელების საქმეში.

თუ რამდენად ყალბია, როგორც კონტრ-რევოლიუციონერების მტკიცება, ისე ოპოზიციონურად განწყობილი ჯგუფების უიმედობა, ამის საუცხოვო დადასტურებას გვაძლევს საქართველოს კომუნისტური პარტიის მეხუთე ყრილობის შედეგები. ცეკას საანგარიშო მოხსენებიდან მტკიცდება, რომ მიუხედავად მრავალგვარი დამაბრკოლებელი მიზეზებისა, სოციალისტური მშენებლობის საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.

სოციალიზმის გამარჯვების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მრეწველობის აღორძინება, ქვეყნის ელექტროფიკაცია, სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია მისი სოციალისტურ რელსებზე გადაყვანით და კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის განვითარება.

განვიხილოთ მოკლეთ თვითეული ამ დარგის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში და ჩვენთვის აშკარა გახდება უდავო მიღწევები სოციალიზმის მშენებლობაში.

დავიწყოთ მრეწველობიდან, საქართველო ამ მხრივ თვითმპყრობელობის დროსაც კოლონიური ქვეყნის მდგომარეობაში იყო, ხოლო ომისა და მენშევიკეური წყობილობის დროს, რაც იყო, ისიც განადგურდა. საბჭოთა ხელისუფლების ენერგიულმა საქმიანობამ და მმართველი პარტიის სწორმა ხელმძღვანელობამ სულ რამოდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელი გახადა საბჭოთა საქართველო შემდგარიყო სამრეწველო ქვეყნის მდგომარეობაზე და ცეკას მდივნის — ამხ. კახიანის სიტყვებით რომ ვსთქვათ: „საქართველო უკვე აღარ არის ისეთი ქვეყანა, რომელზედაც ამბობდენ სიმინდის რესპუბლიკა არისო“.

ამჟამად ზედმეტად მიგვაჩნია ყველა იმ ფაბრიკა-ქარხნების დასახელება, რომელიც უკვე აშენდა და ნაწილობრივ ისევ შენების პროცესშია საბჭოთა ხელისუფლების დროს. უფრო საგულისხმოა იმის აღნიშნვა, თუ როგორ ჩქარის ტემპით იზრდება მრეწველობის განვითარებისათვის, ფაბრიკა - ქარხნების აშენებისათვის გადადებული თანხები. თუ 1926-27 საბიუჯეტო წელში მრეწველობის განვითარებისათვის გადადებული იყო 4.595 ათასი მანეთი, 1927-28 წლისათვის გადადებულია 6.911.500 მანეთი, ე. ი. 50 პროც. მეტი წინა საბიუჯეტო წელთან შედარებით.

ნათქვამია ციფრები ყველაზე უფრო უტყუარი ხაზიულებაა ჭეშმარიტების აღნუსხვისათვისო და ჩვენც ამის შესახებ განმარტება ზედმეტად მიგვაჩნია, დეე, პირუთვნელმა მკითხველმა თვითონვე გააკეთოს აქედან შესაფერი დასკვნა.

გადავიდეთ ქვეყნის ელექტროფიკაციის მდგომარეობაზე. იმ აუარებელი წვრილ ელსადგურების გარდა, რომლებიც სინათლეს აწვდიან საქართველოს დაბა-ქალაქებს, ჩვენ უკვე გვაქვს 18 ათასი ცხენის ძალიანი ზაჰესი, რომ

ძლის მეოთხედი ენერგიაც კი ბთილისისა და მისი წარმოებისათვის ჯერ ჯერობით საკმარისია. ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე ამუშავდა აბაშის ელსადგური 2.600 ცხენის ძალით, აგრეთვე პატარა ელსადგური ონში, მალე დამთავრდება აჭარის წყლის ჰიდრო ელსადგური 7.500 ცხენის ძალით და უკვე შეუდგენ მუშაობას რიონჰესის ასაგებად, რომლის დასრულების შემდეგ საქართველოს რკინის გზები გადავლენ ელექტროფიკაციაზე, რაც გააჯანსაღებს ტრანსპორტის საქმეს და ხელს შეუწყობს სამეურნეო პროდუქციის ღირებულების გაიაფებას. არაფერს ვამბობთ აქ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულ თაფარავანის ელსადგურის აგებაზე, რომელმაც ელექტროფიკაციის საქმეს უნდა შემატოს 100.000 ცხენის ძალა.

ამრიგად ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში გაკეთებულია გაცილებით იმაზე მეტი, რაც ჩვენთვის აუცილებლობას მოითხოვდა. ესეც ერთი დიდი მიღწევაა სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებისათვის საქართველოში.

უფრო მტკივნეული საკითხია სასოფლო სასოფლო მეურნეობის განვითარება და მისთვის სოციალისტური ხასიათის მიცემა, საქართველო გლეხური ქვეყანაა წვრილი და დაქსაქსული მეურნეობით. აქ მართლაც დიდი მუშაობაა საჭირო სოფლის მეურნეობის სოციალისტური ელფერის მისაცემად. ამასთან ერთად გლეხობა განიცდის მიწის სივიწროვეს.

გაკეთდა თუ არა რაიმე სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში? მივმართოთ ფაქტებს: მსოფლიო ომამდე ნათესების სივრცე საქართველოში უდრიდა 676.699 დესეტინას. 1920 წელს, მენშევიკური ხელისუფლების ბატონობის დროს, როდესაც გლეხობამ პურის ნაკლებობის გამო ხელი აიღო კულტურულ მეურნეობათა წარმოებაზე, როგორიცაა მებამბეობა, მეთამბაქოება, მევენახეობა და ჩაის კულუტურა და ეწეოდა მხოლოდ სიმინდის მეურნეობას, დათესილი იყო 616.351 დესეტინა., ხოლო 1927 წელს კი დათესილია 685.100 დესეტინა.

თუ ავიღებთ სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებას, ომამდის, ე. ი. 1913 წელს ის უდრიდა 111.780 ათას მანეთს, ხოლო 1926 წელს 115.710 ათას მანეთს. როგორც ვხედავთ ზრდა გამოიხატება ოთხ მილიონ მანეთამდე.

ურწმუნო თომებმა შეიძლება გვითხრან: გლეხობამ რომ ნათესების სივრცე გაადიდოს, ამით სოციალიზმის მშენებლობის საქმეს რა შეემატებაო. მაგრამ მმართველი პარტია არც ამ გარემოებას უშვებს მხედველობიდან და ყოველთვის ცდილობს სასოფლო მეურნეობა წარმართოს კოლექტივიზმისა და კოოპერატიულის გზით. გარდა იმ კოლექტიური მეურნეობებისა და არტელებისა, რომელშიაც ჩაბმულია 118,415 წევრი, სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია „სოფლის კავშირი“-ს სახით ყოველ მხრივ ანვითარებს თავის საქმიანობას და მასში დღემდე გაერთიანებულია გლეხობის 21 პროცენტი. სამეურნეო კოოპერაცია ცდილობს გლეხობის ნაწარმოების ხელსაყრელ ფასებში განაღდებას და თანდათანობით სდევნის სოფლიდან კერძო ჩარჩებს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კულტურულ მეურნეობათა სწრაფი ტემპით განვითარება. საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით გლეხობას და განსაკუთრებით კოლექტიურ მეურნეობებს ეძლევათ გრძელვადიანი სესხი კულტურული მეურნეობის მოსაშენებლად. მთავარი ყურადღება ექცევა ჩაის მოშენების საქმეს. დღემდის საქართველოში ჩაის პლანტაციას უჭირავს 1757 დესეტინა. ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდებია ეს სივრცე 18.000 დესეტინამდე იქნეს აყვანილი. ასე ვითარდება ვენახების სივრცე და თამბაქოს მეურნეობაც. რაც შეეხება მეაბრეშუმეობას, ეს დარგი მართალია, საქართველოში წინადაც იყო განვითარებული, მაგრამ ამჟამად ძაფსაღებ ქარხნების გახსნის გამო კიდევ უფრო წინ მიდის. ამასთანავე აბრეშუმის პარკის ადგილობრივ დამუშავებით სამუშაოს შოულობს ათასობით მუშა ხელი.

სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მელიორაციის საქმის მოგვარებას. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? მელიორაციის საქმეს საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. სწარმოებს მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობად, რომელიც რამოდენიმე ათეულ ათას დესეტინა მაღალი კულტურისათვის სასარგებლო მიწას შესძენს საქართველოს გლეხობას. დამთავრდა მუშაობა ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობად. კეთდება სამგორის დიდი არხი, ალაზანისა, და ტირიფონის ველის მოსარწყავი არხები. ამას გარდა გაკეთებულია რამოდენიმე უფრო ნაკლებ მნიშვნელობის არხი. თუ ამას დაუმატებთ გაუმჯობესებულ სამეურნეო იარაღებს, რომელთა რიცხვი დღითი-დღე მრავლდება საქართველოში, აშკარა გახდება, რომ როგორიც მრეწველობისა და ელექტროფიკაციის საქმეში, ისე სასაოფლო მეურნეობაშიც საგრძნობი მიღწევებია და ეს მიღწევები უდაოდ ღაღადებენ სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ ელფერს.

უკანასკნელად უნდა შევეხოთ ვაჭრობის საქმეს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიით სახელმწიფოს მაგრად უჭირავს ხელში ვაჭრობის მოწესრიგების საქმე. გარდა ამისა, სახელმწიფოს ხელშია შინაური ვაჭრობის 42,6 პროც., კოოპერაციის — 37.4 პროც., ხოლო კერძოსი—20 პროც. ყოველწლიურად კერძო ვაჭრობის როლი კლებულობს და მის ადგილს იჭერს სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციები. აქვე უნდა აღინიშნოს კომუნისტური პარტიის სრული გამარჯვება მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებთან და კერძოთ მენშევიკებთან ბრძოლაში იდეოლოგიურ ფრონტზე.

ამრიგად, რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ, ყველგან დიდი მიღწევებია.

მეხუთე ყრილობამ თავის მუშაობაში აღნიშნა რა ეს მიღწევები განვლილ მუშაობაში, დასახა მომავალი სამოქმედო გეგმა და მისცა დირექტივები ხელმძღვანელ ორგანოებს ცხოვრებაში მისი ურყევად გატარებისათვის.

ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ ყრილობის მიერ დასახული გეგმა ისევე მტკიცედ და ურყევად იქნება ცხოვრებაში გატარებული, როგორც ამას ადგილი ქონდა განვლილი მუშაობის პერიოდში და სოციალისტური მშენებლობის საქმე საბჭოთა რესპუბლიკებში იწარმოებს მტკიცე წარმატებით, მიუხედავად კონტრ-რევოლიუციონური პარტიებისა და ჯგუფების აშკარა წინააღმდეგობისა და ოპოზიციონურად განწყობილ უიმედოთა საბოტაჟისა.

# ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება და მისი დაარსების წინასწარი პირობები

2.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ნ. რამიშვილის მეთოდი, მისი „მეცნიერული“ ანალიზი იმ ფართო მასიურ საზოგადოებრივ მოძრაობის ახსნა - განმარტების საკითხში, როგორიც არის საქართველოში მენშევიკური პარტიის დაშლა - განადგურება და მის ნანგრევებზე და მის ხარჯზე კომუნისტური პარტიის გამაგრება - განმტკიცება, არ გამოდგება. ნ. რამიშვილი როგორ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ემიგრანტი, როგორც მებრძოლი მენშევიზმის მეთაური, ორგანიულად, ფსიხოლოგიურად და იდეურად ვერ მოახერხებს ობიექტურად მიუდგეს და შეის-

წავლოს ის სოციალური უბედურება, ის იდეური ორგანიზაციული კატასტროფა, ის მორალური და პოლიტიკური მარცხი, რაც ასეთი სიმწვავით სიგრძით და სიღრმით განიცადა იმ პარტიამ, რომელსაც ნოე ჟორდანიასთან ერთად მეთაურობდა ნოე რამიშვილიც.

საქართველოს მენშევიკური პარტიის ბელადებს არ ძალუძთ თვალი გაუსწორონ იმ მათთვის საშინელ სინამდვილეს, რაც გამოიხატება მენშევიზმის უმაგალითო დამარცხებაში.

ვინც რუსეთის და საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის სინამდვილეს იცნობს, მან ისიც იცის, რომ ს.-დ' პარტია, როგორც მთლიანი ორგანიზაცია ხელმძღვანელობდა რუსეთის პროლეტარიატს. ეს პარტია, მთლიანად შემდგარი რევოლიუციონური მარქსიზმის გზაზე, აღჭურვილი მეცნიერული სოციალიზმის მეთოდით წრთვნიდა ინტელექტუალურად და იდეურად რუსეთის პროლეტარიატს, უქმნიდა მას სამოქმედო პროგრამას და რაზმავდა მას, როგორც თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის, ისე ბურჟუაზიული წესწყობილების მოსასპობად. ხოლო ეს უკანასკნელი მიზანი ე. ი. კაპიტალისტური წყობილების მოსპობის საქმე დასახული იყო შორეულ მიზნად და ამიტომაც ს.-დ. პარტიის პროგრამაც ორი განყოფილებიდან შესდგებოდა: პროგრამა მინიმუმი და მაქსიმუმი.

პირველი პროგრამა ცარიზმის დაცემით, ფეოდალური ნაშთების მოსპობით, სოციალური და აგრარული რეფორმით და პოლიტიკური დემოკრატიის, ანუ რესპუბლიკანური რეჟიმის დამყარებით უნდა ამოწურულიყო. მაქსიმუმი კი გაცილებით შორს მიდიოდა, ის სოციალურ-პოლიტიკურ გარდატეხას ისახავდა მიზნათ, და ეს უნდა განხორციელებულიყო იმ მომენტში, კაპიტალისტური მეურნეობის იმ განვითარების პერიოდში, როცა ამისათვის ობიექტიურ პირობებთან ერთად სუბიექტიური ფაქტორებიც მომზადდებოდა.

აი ასეთი გეგმითა და პროგრამით იბრძოდა რუსეთის პროლეტარიატი და მისი ავანგარდი ს.-დ. პარტია. პროლეტარულ მასებში ამ პარტიას მოქიშპე არავინ ყავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ესერების პარტიას, რომელიც გლეხებში და დემოკრატიულ ინტელიგენციაში უფრო სარგებლობდა გავლენით, ვიდრე ქალაქის მუშებში, სამრეწველო პროლეტარიატში.

მაგრამ იწყება განხეთქილება ს.-დ. პარტიაში, იწყება ამ პარტიის ფრაქციებად ჩამოყალიბება და ამ ფრაქციების ერთმანეთში ბრძოლა. სადაო საკითხები იმ ხანად იყო ორგანიზაციული და ტეხნიკური ხასიათის. ფრაქციებმა ეს ურთიერთ შორის ბრძოლა მუშათა მასებში გადაიტანეს. თავიდან ემჩნეოდა, — რომ რუსეთის საწარმოო ცენტრებში პროლეტარული მასები მეუმრავლესეების, ანუ ბოლშევიკების ფრაქციას გაყვებოდენ. საქართველოში კი მენშევიზმმა მიიმხრო როგორც მუშების უმრავლესობა, ისე კიდევ უფრო წვრილ-ბურჟუაზიული და მეშჩანური ინტელიგენტური წრეები. რომლებიც ბლომად მოიპოვებოდენ ს.-დ. პარტიაში.

რატომ გაიმარჯვა საქართველოში მენშევიზმმა და რუსეთის საწარმოო ცენტრებში ბოლშევიკებმა?

ამის მიზეზები საქართველოსთვის ის იყო. რომ იგი წვრილ - ბურჟუაზიული ქვეყანა იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პოლიტიკურ საკითხებში, მაგ. სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულებაში, ისე ორგანიზაციის და პარტიის კონსტრუქციის საკითხებში ს.-დ. პარტიის ორ ფრაქციათა შორის თავიდანვე არსებობდა შეურიგებელი წინააღმდეგობა. მენშევიზმი ფართეთ აღებდა პარტიის კარებს და ამის გამო მუშებთან ერთად მის ორგანიზაციებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ შეხვდებოდით მევახშე გლეხებსა და წვრილ და მსხვილ ბურჟუაზიის წარმომადგენლებსაც.

ბოლშევიკების პარტიული ორგანიზაციების წყობა სულ სხვანაირი იყო. პარტიის მოწყობის საქმეში ისინი თავიდანვე აქცევდენ ყურადღებას პარტიის წევრების **არა რიცხვს**, არამედ **თვისებას** და ამიტომაც მათ წრეებში ნახავდით იდეურად გაწრთვნილ. ჩამოყალიბებულ, ფსიხოლოგიურად მტკიცე და მედგარ, აქტიურ რევოლიუციონერებს. სულ სხვა იყო მენშევიზმი. აქ სხვადასხვა ელემენტებმა მოიყარეს თავი. რასაკვირველია აქაც რევოლიუციონურად განწყობილი და აქტიურად მებრძოლი მუშები ბევრი იყვენ, უდაო ფაქტია, რომ საქართველოში საუკეთესო მუშები, როგორც ინტელექტუალურად და რევოლიუციონური სულისკვეთებით იყვნენ მენშევიკების პარტიაში, მაგრამ უმთავრესი ბაზა მენშევიკური პარტიისა იყო არა მუშური დემოკრატია, არამედ საერთოთ სოციალურად აჭრელებული ჯგუფი. ს.-დ. პარტია, როგორც არალეგალური რევოლიუციონური პარტია ცარიზმის მუხრუჭის და რეპრესიების ქვეშ მოღვაწეობდა. ამიტომ მისი მთავარი მოღვაწეობა ჰერქვეშ სწარმოებდა. იქიდან იძლეოდა ის ლოზუნგებს და რევოლიუციონურად წრთვნიდა მასებს. აქაც მენშევიკურმა ფრაქციამ სცადა პირობების შეგუების საკითხის წამოყენება. უნდა ვისარგებლოთ ყოველივე ლეგალური საშუალებით, ყოველივე ლეგალური წერტილი ჩვენი მიზნებისათვის უნდა გამოვიყენოთო. გამოყენების მეთოდს არც ბოლშევიკები უარყოფდენ. მხოლოდ მათი მოქმედების უმთავრესი ასპარეზი არალეგალური მუშაობა იყო. ს.-დ. პარტიის ეს ორი ფრაქცია ამ საკითხშიც ვერ თანხმდებოდენ. იმ დროს, როცა ბოლშევიკების ფრაქცია მუშაობის მთელ სიძნელეს არალეგალურ მუშაობაზე ამყარებდა, რუსული მენშევიზმი (ქართული მენშევიზმი რუსულის მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა). ლეგალურ დასაყრდნობებს ეძებდა და ამავე დროს პარტიის რევოლიუციონური მეთოდის ლიკვიდაციას მოითხოვდა.

მაგრამ ეს ფრაქციული უთანხმოება ხდება იმ დროს, როცა ცარიზმს სოციალ-პოლიტიკური რეაქციის მუხრუჭში ყავდა გამომწყვდეული რუსეთის ყველა სასიცოცხლო და პროგრესიული ძალები. როცა ეს რეაქცია მაჯლაჯუნასავით აწვა თავზე ყოველივე იმას, რასაც კი პროგრესის, აღორძინებისა და განვითარების ნიშანწყალი ჰქონდა.

ამ დროსა და პირობებში არა თუ მენშევიკური რეფორმისტ ოპორტიუნისტული ფრაქცია, არამედ ყოველი დემოკრატიული ჯგუფი, თვით როძიანკო და მილიუკოვიც კი ერთნაირ პროგრესიულ ძალას წარმოადგენდენ.

მაგრამ 1917 წელს იმსხვრევა თვითმპყრობელობა. ძველ წყობილებას ანგრევენ მუშები და ჯარის კაცის ფარაჯაში გამოწყობილი გლეხები. სოციალ-დემოკრატია მენშევიკური ფრაქციის სახით და მისი თანამოძმე რუსული ესერული ფრაქცია ხდებიან რევოლიუციის მეთაურად. სწორედ ამ დროს პრაქტიკულად ისმება ს.-დ. **პარტიის პროგრამა მინიმუმის** განხორციელების საკითხი.

მენშევიკ - ესერები ხელუხლებლად სტოვებენ რუსეთის სოციალ - ეკონომიურ წესწყობილებას. კაპიტალისტური ეკონომიკა მთელი თავისი ატრიბუტებით ძალაში რჩება. აღებულია ორიენტაცია ევროპის რევოლიუციებზე. აქ ხომ ჯერ დემოკრატიული რევოლიუციები მოხდა, ევროპამაც ხომ მინიმუმის განხორციელებით დაიწყო. იქაც ამ გზით შეიცვალა მონარქიული წყობილება. თუ ეს იქ ასე მოხდა, თუ განათლებული, დიდი მატერიალური და ძლიერი კულტურის მქონე ევროპა ასეთი გზით მიექანება აღორძინებისაკენ, ჩვენთვის, ჩამორჩენილ რუსეთისათვის ხომ სავალდებულო უნდა იყოს მივბაძოთ კულტურიან ევროპას და ჩვენი სახელმწიფოებრივ განვითარების მსვლელობა და ტენდენცია დაუმორჩილოთ ევროპის მიერ მოცემულ მაგალითს და ეს მით უფრო, რომ ჩვენი ეკონომიური და საწარმოო ძალთა განვითარება ღებულობს დასაწყის დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ კულტურიდანო.

ასე მსჯელობდენ და მოღვაწეობდენ დემოკრატიული, რეფორმისტული სკოლის პარტიები: მენშევიკები და ესერები. მაგრამ მათ დაავიწყდათ, რომ რუსეთის რევოლიუცია თავის განვითარებით და შინაგანი ხასიათით სრულებით არ გავდა იმ სოციალურ გარდატეხებს, რაც ევროპის ქვეყნებმა განიცადეს იქ, ევროპაში, დემოკრატიულ რევოლიუციებს ახდენდენ დაჩაგრული და გაყვლეფილი

კლასები დემოკრატიული და ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით. ის, ეკონომიურად წელში გამართული ბურჟუაზია ებრძოდა ფეოდალურ ურთიერთობის გამომსახველ მმართველ წრეებს. ებრძოდა აბსოლიუტურ მონარქიულ წყობილებას, რომელიც აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. რადიკალური ბურჟუაზია ევროპის ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლიუციებში გამოდიოდა, როგორც ავანგარდი პოლიტიკური, ორგანიზაციული და იდეური ხელმძღვანელი და გეგემონი. მუშათა კლასი, პროლეტარიატი იმ ჟამად კიდევ არ იყო კლასობრივად ჩამოყალიბებული და დარაზმული. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გარკვეული მსოფლმხედველობა, მოქმედების გარკვეული პროგრამა. ის არ წარმოადგენდა პოლიტიკურ პარტიას, მხოლოდ რადიკალური ბურჟუაზია თავის ლიბერალური პროგრამით და დეკლარაციებით მოსჩანდა ქვეყნის ავან-სცენაზე და ამიტომაც რევოლიუციის მონაპოვარსაც იგი ისაკუთრებდა.

ასეთი რამ რუსეთის სინამდვილემ არ იცის. რუსეთის რევოლიუციის უდიდესი ფაქტორი მუშა და გლეხია. მუშათა კლასი აქ დარაზმულია პოლიტიკურ პარტიად. აქვს თავისი გარკვეული სამოქმედო პროგრამა. ის ბურჟუაზიის ლამაზი თვალებისათვის კი არ ღვრის თავის საკუთარ სისხლს, ის რევოლიუციას ახდენს თავისი საკუთარი ინტერესებისათვის და არა ბურჟუაზიის გასამდიდრებლად, მისი ბატონობის კიდევ უფრო გასამაგრებლად, ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა გ. ვ. პლეხანოვმა დიდი ხნის წინეთ სთქვა: რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუცია ან სულაც ვერ გაიმარჯვებსო.

ამ ბრძენი პოლიტიკოსის წინასწარმეტყველება აცხადდა. რუსეთში მუშების რევოლიუციამ გაიმარჯვა და პოლიტიკური და ეკონომიური ძალა-უფლებაც მან აიღო.

მეორეს მხრით ეს რევოლიუცია არ არის ნაყოფი მხოლოდ რუსეთის შინაური ფაქტორებისა. ის ნაყოფია როგორც შინაური „ნაციონალური“ ძალთა განწყობილებისა და განვითარებისა, ისე კიდევ უფრო იმ საერთაშორისო პოლიტიკური პირობებით, რამაც გამარჯვება მიანიჭა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე რევოლიუციონურ მოძრაობას. იმპერიალისტურ საერთაშორისო ომების პროცესში დამარცხდა თვითმპყრობელი რუსეთი, როგორც სუსტი იმპერიალისტური ორგანიზმის მქონე. აქ, სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე გაირღვა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ფრონტი. რუსეთის მმართველმა წრეებმა წააგეს ომი და საერთო იმპერიალისტურ ოჯახიდან გამოითიშა რუსეთის თვითმპყრობელი სახელმწიფო. ეკონომიურად სუსტი რუსეთი, პოლიტიკურად დაუმწიფებელი რუსეთის ლიბერალიზმი პირის პირ დაეტაკა პროლეტარიატს, რომელიც აღჭურვილი იყო გარკვეული, მარქსისტულ - ლენინური, რევოლიუციონური პროგრამით და ჭებისყოფით.

აი, აქ ს.-დ. პარტიის ბოლშევიკური ფრაქცია იქცა კომუნისტურ პარტიად და ააფრიალა კომუნისტური დროშა. მენშევიკური პარტია ესერებთან ერთად ბურჟუაზიულ ბარიკადებს ამოეფარა და იქიდან უწყო ყუმბარების სროლა კომუნისტებს. თავის ასეთ საქციელს მენშევიზმი ასაბუთებდა დემოკრატიული სოციალიზმის სახელით, და იმ ფაქტით, რომ რუსეთში არ არის მომზადებული და ჰომწიფებული წინასწარი პირობები სოციალისტურ რევოლიუციისთვის. არ არის კაპიტალისტური მეურნეობა უმაღლეს წერტილამდე განვითარებულიო. არ არის ამისათვის მზად არც პროლეტარიატი, ე. ი. რუსეთში არ არსებობენ არც ობიექტიური, არც სუბიექტიური პირობები სოციალისტური რევოლუიციის გამარჯვებისათვის. ბოლშევიკები ხელოვნურად რგავენ კომუნიზმს, აკეთებენ სოციალურ ექსპერიმენტებს, რომელიც თავის შინაარსით და ობიექტიური მსვლელობით, როგორც უდროო, ცხოვრებასთან შეუსაბამო, ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებისაგან გარიყული, თავის წიაღში ატარებს სოციალურ და პოლიტიკურ რეაქციას და ამის გამო, როგორც უტოპისტური და რეაქციონური სოციალ - ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაცია მიუღებელიაო.

სწორედ ასე ასაბუთებდა რუსულ-ქართული მენშევიზმი კომუნისტურ პარტიისადმი თავის მტრულ განწყობილებას და პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან ერთად მოქონდა იერიში ოქტომბრის რევოლიუციის ბელად პარტიის წინააღმდეგ.

როცა მეფის გენერალ ალექსეევს გეგეჭკორი, როგორც საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საგარეო მინისტრი ეფიცებოდა ერთგულებაში და უმტკიცებდა: „ჩვენ ერთ წერტილში ვსცემთ, საერთო მტერს საერთო ძალით ვებრძვითო“—შემთხვევითი როდი იყო, ეს ნამდვილი, ბუნებრივი, მენშევიკური ახსნა იყო იმისა, რაც სინამდვილეში ხდებოდა. ამ სიტყვაში ჩვენ ვხედავთ მენშევიზმის მთლე შინაარს, ბოლშევიზმისადმი მის დამოკიდებულებას მთელი მისი სიგრძე-სიგანით.

ჩვენ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. ჩვენ დასავლეთ ევროპის მაგალითებს უნდა მივბაძოთ, როცა იქ პროლეტარიატი სოციალისტურ რევოლიუციას მოახდენს, ჩვენც მას შემდეგ ვიხელმძღვანელებთ განათლებული ევროპის გამოცდილებით და ადვილად გადავწყვეტთ ჩვენი საკუთარი ქვეყნის სოციალურ პროგრამასო.

აი, დაახლოვებით მენშევიკური ლიდერების სოციალური ფსიხოლოგია.

ალ. ხელაძე

# რა სურს ემიგრაციას

7.

## მეორე ინტერნაციონალი

1921 წლის 10 აპრილს მენშევიკების ორგანიზაციამ გამოიტანა თბილისში ცნობილი რეზოლიუცია, რომელშიც სხვათა შორის წამოყენებული იყო წინადადება ევროპიდან შერეული ინტერნაციონალური სოციალისტური კომისიის გამოგზავნის შესახებ. ამ კომისიას თავზე უნდა ედვა საქართველოს მდგომარეობის გამორკვევა და მასში დემოკრატიული რეფერენდუმის მოხდენა. სწორედ ეს რეზოლიუცია დაედვა საფუძვლად რ. მაკდონალდის ცნობილ მომართვას, რომელიც ეცნობა საბჭოთა მთავრობას 1921 წლის აგვისტოში. მეორე ინტერნაციონალის ნოტის შინაარსი შემდეგი იყო: მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა თხოვნა წარმოდგენილი სოციალ - დემოკრატიული პარტიის მიერ თბილისიდან, რომელსაც მხარს უჭერს დიდი ბრიტანეთის მუშათა პარტია, საფრანგეთისა, ბელგიისა და სხვ. სოციალისტური პარტიები იმის შესახებ, რომ შედგეს შერეული კომისია. დანარჩენ ქვეყნების სოციალისტური და კომუნისტური პარტიათა წარმოადგენლებისგან, რომელიც გაუწევს კონტროლს ამომრჩეველთა თავისუფალ ხმის მიცემას იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოებრივი ფორმა სურს უმრავლესობას. აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერს ამ წინადადებას და ადგენს მიმართოს საბჭოთა მთავრობას ამ რეზოლიუციაში დასახული მიზნის მისაღწევად“.

ამ წინადადებაზე საქართველოს რევკომმა და კომპარტიის ცეკამ უკვე 1921 წლის 10 აგვისტოს გასცა პასუხი მეორე ინტერნაციონალს. ჩვენთვის უდავოა, რომ მეორე ინტერნაციონალს მშვენივრად ესმოდა, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ასეთ წინადადებაზე არ დათანხმდებოდა.

მართლაც წარმოიდგინეთ ასეთი სურათი:

მოხდა დიდი ბრძოლა, მენშევიკური მთავრობა დამარცხდა და უცხოეთში გაიხიზნა, მთელს საქართველოს მოედვა საბჭოთა ხელისუფლება, გავიდა ნახევარიწელიწადი

და აი გამოდის მეორე ინტერნაციონალი და მოითხოვს თუ შეიძლებოდეს უკან დაიხიეთ, დემოკრატიული არჩევნები მოახდინეთო. მეორე ინტერნაციონალის მხრით ეს იყო პატარა თავაზიანობა და ყურადღება დემოკრატიული საქართველოს მიმართ სტუმართ მოყვარეობისათვის და დიდი დემაგოგია პარტიული კაპიტალის შესაძენად.

1922 წლის შემოდგომაზე მენშევიკებმა მეორე ინტერნაციონალს საგანგებო მოხსენება წარუდგინეს, რომელშიც მოცემულია მენშევიკების ოთხი წლის მოღვაწეობის ზოგადი დახასიათება და საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შექმნილი მდგომარეობის შეფასება. მოხსენებაში არის ფრიად საინტერესო ადგილები. აი ესენი:

1. **„ჩამორთმეულ მამულთა დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა“** (?)

2. **„სახელმწიფომ შეიძინა ზოგიერთი ქარხანა ფასის ანაზღაურებით“.**

3. **„მთავრობა მფარველობდა კერძო საკუთრების პრინციპზე აგებულ ვაჭრობა - მრეწველობას“.**

4. **„სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალიზმი“.**

აი თურმე რა შეადგენდა დემოკრატიულ საქართველოს საქმიანობას.

5. 1920 წლის უკანასკნელ თვეებში. დემოკრატიულ მთავრობას მოუხდენია, „თავის ჯარის დიდი ნაწილის დემობილიზაცია“.

მემორანდუმი ღაღადებს: „ბოლშევიზმს შეუძლია მხოლოდ განადგურება“, „მისი კომუნიზმი არის კომუნიზმი, „წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების, გლეხების და ნახევრად გლეხების, რომელთა წარმოდგენით სოციალური რევოლიუცია გამოიხატება ქონების დაყოფაში, ძარცვაში, წვრილი საკუთრებას შენარჩუნებაში და ყოველივე მსხვილი მეურნეობის და კაპიტალისტური მრეწველობის განადგურებაში“ და სხვა.

6. მემორანდუმი ეხება აგრეთვე საქართველოს გასაბჭოების მიზეზს და აცხადებს:

„ამგვარად ორი მეთოდი დაუპირდაპირდა ერთმანეთს. პროლეტარიატის მიერ წამოყენებულ კითხვას: რა უნდა ქნას მუშათა პარტიამ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ, რუსულ ბოლშევიზმმა და ქართულ მენშევიზმმა სხვადასხვა პასუხი გასცეს, პირველმა თავისი დიქტატურით გაანადგურა ქვეყნის სიმდიდრე, მოსპო საწარმოვო ძალები, დაქსაქსა პროლეტარიატი. ერთი სიტყვით უზარმაზარი რუსეთი საფლავის კარზე მიიყვანა. მეორემ დემოკრატიით და თავისუფლებით სამოქალაქო ომის გარეშე გაატარა რეფორმები, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას, ქვეყანა აღორძინების გზაზე დააყენა“-ო.

„ამიტომ რუსეთის მონაპირე ყველა პატარა რესპუბლიკათა შორის ყველაზე უფრო აუტანელი იყო მათთვის საქართველოს რესპუბლიკა„ საცა ბოლშევიზმის ანტიპოდი მენშევიზმი ატარებდა სახელმწიფოს მასშტაბით სოციალისტური, ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას“-ო.

(იხ. „ბრძოლა“ № 8.)

აქედან ცხადია, საქართველოს გასაბჭოების მთავარ მიზეზს თვით მენშევიკები ხედავენ იმაში, რომ აქ საქართველოში **„ბოლშევიზმის ანტიპოდი მენშევიზმი ატარებდა სოციალისტურ ანტი ბოლშევიკურ პოლიტიკას“**, ე. ი. საერთაშორისო მენშევიზმი ახდენდა აქ გენერალურ შეჯიბრებას ბოლშევიზმსა და საბჭოთა ხელისუფლებასთან.

**აბა ვინ წაიყვანს უკეთ ქვეყნის საქმეს — მენშევიზმი, თუ ბოლშევიზმი?. ვინ ვის აჯობებს?**

ასე სვამდა საკითხს საერთაშორისო მენშევიზმი საქართველოში. მეორე ინტერნაციონალმა და მისმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არა ერთხელ დასვა თავის კონგრესებზე თუ სესიებზე საქართველოს საკითხი.

საქართველოს შესახებ ვრცელი მოხსენება წარედგინა მეორე ინტერნაციონალის მარსელის კონგრესს, რომელმაც დაადგინა, „ჩვენ სრული თანხმობით ინტერნაციონალის პრინციპთან ვაღიარებთ თვით გამორკვევის უფლებას საქართველოსათვის, როგორც სიმბოლო ყველა ერისაო“.

ჰამბურგის კონგრესსაც დაუდგენია: „კონგრესი ადასტურებს მეორე ინტერნაციონალის და სოციალისტურ პარტიათა ვენის გაერთიანების რეზოლიუციებს საქართველოს საკითხის შესახებო“.

1924 წელს მეორე ინტერნაციონალის აღმასრულებლემა კომიტეტმა ლიუქსენბურგში თებერვალს და ვენაში იმავე წლის ივნისში კვლავ წამოაყენა საქართველოს საკითხი და დაავალა მასში შემავალ პარტიებს მხარი დაუჭირონ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის პრეტენზიებს.

1924 წლის აგვისტოს ავანტიურის შემდეგ მეორე ინტერნაციონალს კვლავ გამოაქვს რეზოლიუცია და კვლავ აცხადებს „სასტიკ პროტესტს“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ნაირად პერმანენტული პროტესტებისა და რეზოლიუციების მეტი მეორე ინტერნაციონალს არ დაუხარჯავსრა საქართველოს სასარგებლოდ.

**„იყავ პოლიცმეისტრად“.** — აი მეორე ინტერნაციონალის პოზიცია საქართველოს საკითხში. „მოხდეს საქართველოში რეფერენდუმი“. „აღდგენილ იქნას მასში დემოკრატია“. — ღაღადებს მეორე ინტერნაციონალი, სწერს რეზოლიუციებს და.... ინახავს არქივში... შეიძლება გვითხრან: აბა, რა უნდა ექნა მეორე ინტერნაციონალს, მას სად ჰქონდა რეალური ძალა, რომ თავის დადგენილება საქართველოს შესახებ სისრულეში მოეყვანაო? —საქმეც ის არის, რომ მას არა აქვს არავითარი რეალური ძალა, რომ საქართველოში დემოკრატიული წესწყობილების რესტოვრაცია მოახდინოს და კიდევაც რომ ჰქონდეს რეალური ძალის მაგვარი რამე— მაინც ვერაფერს იზამს იგი —რომ ეს ასეა ადასტურებს მაკდონალდის მოქმედება, როცა ეს უკანასკნელი დიდი ბრიტანეთის პრემიერი იყო.

საქართვლეოს მაგალითზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რუ რამდენად დამბლა დაცემულია მეორე ინტერნაციონალი, თუ რამდენად ჭეშმარიტად იმპოტენტია იგი. სწორედ მასზე ზედგამოჭრილია პოეტის სიტყვები:

Суждены Вам благие порыви.
Но совершит ничего не дано.

რომ ეს ასეა, რომ ჩვენ აქ სრულებით არ ვაჭარბებთ, მოწმობს იგივე „ბრძოლა“, რომელიც ირ. წერეთლის პირით აცხადებს: „არ მინდა სინამდვილეს გადავამეტო და ეს ყურადღება უფრო დიდათ დავსახო, ვიდრე არის. **ის რასაც „რეალურ დახმარებას“ უწოდებენ, ჩვენთვისაც იმდენად ნაკლები აღმოჩნდა, როგორც სხვა, მსგავს პირობებში მომხდარ ერებისათვისო“.** („ბრძოლა № 1)

**ლეო შენგელაია.**

# სძულთ, მაგრამ იძულებული არიან

ბურჟუაზიული ქვეყნების მესვეურებს ჭირივით ეჯავრებათ პროლეტარიატის დიქტატურა და მისი ხელმძღვანელი — საბჭოთა ხელისუფლება. და ეს სიძულვილი არ არის შემთხვევითი მოვლენა, არამედ აქ არის ორი. ერთიმეორის ისტორიულად მოწინააღმდეგე კლასების—პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის. — ინტერესების დაპირდაპირება.

პროლეტარიატის დიქტატურის საშუალებით მუშათა კლასს სურს მისი დამჩაგვრელი კაპიტალიზმის მოსპობა და მის ნანგრევებზე სოციალიზმის დამყარება, ამ ბრძოლას ხელმძღვანელობს კომუნისტური ინტერნაციონალი. ხოლო ბურჟუაზია ცდილობს თავისი გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებას. მართალია, ბურჟუაზიული წყობილება უკვე განწირულია, ის უსათუოდ შეცვლილ

უნდა იქნეს ყოველგან მუშათა კლასის ბატონობით, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი ყველა ქვეყნებში მოხდება ერთდაიმავე პირობებში და ერთდაიმავე დროს.

ისტორიის განვლილი მაგალითებიდან ვიცით, რომ ყოველი ახალი წყობილების დამკვიდრება ნაყოფი იყო ხანგრძლივი პროცესისა. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია დავასახელოთ ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრება, რომელმაც შესცვალა ფეოდალიზმი. ყველაზე უფრო ადრე კაპიტალიზმის განვითარება და მის მიერ სახელმწიფო ძალა-უფლების ხელში აღება მოხდა ინგლისში, შემდეგ საფრანგეთში და ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში. იაპონიის კაპიტალიზმის სიძლიერე აღმოჩნდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს 1904 წელში, ხოლო შეერთებული შტატების უკანასკნელ მსოფლიო ომის დროს. რაც შეეხება კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებს, იქ კაპიტალიზმის სრული განვითარება, სავსებით ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თუმცა აქაც მსოფლიო ომს ნაკლები როლი არ უთამაშნია.

ამ რიგად მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის დამხობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას ესაჭიროება განსაზღვრული დრო, ხოლო სანამ ეს მოხდებოდეს საბჭოთა კავშირი იძულებულია საქმიანი ურთი-ერთობა იქონიოს კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ასევე იძულებული ხდებიან კაპიტალიზმის მესვეურებიც წავიდნენ დათმობაზე საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და იქონიონ დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობა. კაპიტალისტური ქვეყნების მოთავრობები კარგა ხანია დარწმუნდნენ, რომ მათთვის გაცილებით უფრო სასარგებლოა დროებით მაინც ხელი აიღონ საბჭოთა წყობილების დამარცხების შესახებ ოცნებაზე და გააბან მასთან ეკონომიური ურთიერთობა. საბჭოთა ხელისუფლების ყველაზე უფრო შეურიგებელი მოწინააღმდეგე დღევანდელ პირობებში არის ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, მაგრამ მისი მეთაური ბოლდუინი ამ დღეებში იძულებული გახდა ლონდონის თვითმართველობის შენობაში გამართულ ბანკეტზე წარმოეთქვა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ შემარიგებელი ტონის სიტყვა. მართალია, ბოლდუინის სიტყვის ასეთი ტონი უმთავრესად აიხსნება არა საბჭოთა კავშირისადმი კონსერვატორების „კეთილი სურვილებით“, არამედ მოახლოვებულ საპარლამენტო არჩევნების გამო ამომრჩევლების თვალის ახვევისათვის. მაგრამ ეს განცხადება მაინც მოწმობს, თუ რამდენად გაიზარდა ამ 10 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი მსოფლიოს მშრომელი მასების თვალში. დღეს მისი აშკარა მტრებიც კი ველარ ბედავენ მის წინააღმდეგ თავიანთი ზრახვების აშკარად გამომჟღავნებას.

არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსერვატიულმა მთავრობამ შესცვალა თავისი დამოკიდებულება საბჭოებისადმი ამ სიტყვის შემდეგ, მით უმეტეს მისმა აგენტებმა სწორედ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მიუსიეს თეთრგვარდიელები შანხაის საბჭოთა საკონსულოს. მაგრამ ბურჟუაზიული დიპლომატების სიტყვა და საქმე ყოველთვის განსხვავდებოდა ერთი-მეორისაგან და ამ შემთხვევაშიაც სწორედ ასეთ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

სამაგიეროდ ინგლისში არსებობს სხვა მიმდინარეობებიც, ლიბერალური ბურჟუაზიისა და მუშათა პარტიის სახით, რომლებიც ფიქრობენ არჩევნებში გამარჯვების მოპოებას სწორედ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების ლოზუნგით.

შემთხვევითი არ არის ლიბერალური პარტიის ბელადის — ლოიდ-ჯორჯის განცხადება, რომელშიაც ის უსაყვედურებს კონსერვატორებს, რომ: „არც ერთ ქვეყანას არ გადაუდგამს ასეთი ნაბიჯი (ლაპარაკია ურთიერთობის ჩაშლაზე), თუმცა სხვებსაც ისე ეჯავრებათ ბოლშევიზმი, როგორც ჩვენო“.

ლოიდ-ჯორჯს სძულს ბოლშევიზმი, მაგრამ საკუთარი კლასის ინტერესების გულისათვის მაინც იძულებული ხდება იქონიოს მასთან ეკონომიური ურთიერთობა. რა გაეწყობა, ასეთია ისტორიის ულმობელი კანონი. მსოფლიოს ერთ მეექვსედს ბოლშევიზმი დაეპატრონა, მუშათა კლასის ხელისუფლება დამყარდა და ბურჟუაზიას, სურს თუ არა მაინც იძულებულია იქონიოს მასთან კავშირი. უამისოდ კიდევ უფრო შემოკლდება კაპიტალიზმის ბატონობის დღეები.

კონსერვატიულმა მთავრობამ გადასდგა მისთვის საბედისწრო ნაბიჯი, ჩაშალა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, უმთავრესად იმ იმედით, რომ მის მაგალითს დანარჩენი ქვეყნის მთავრობებიც მიბაძავდენ, მაგრამ მწარედ მოსტყუვდა. საბჭოთა მთავრობამ თავისი დაკვეთები ინგლისიდან სხვა ქვეყნებში გადაიტანა, ხოლო ინგლისი, მიუხედავად დეტერდინგის აგენტების გააფთრებული კამპანიისა, ძველებურად იძულებულია საბჭოთა კავშირიდან შეიძინოს ნავთი და სხვა პროდუქტები, რაც ინგლისის საგარეო ვაჭრობის ბალანსზე ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს. ამას გარდა, ინგლისთან ურთიერთობის ჩაშლის შემდეგ მოხდა ფრიად დამახასიათებელი ფაქტები: მიუხედავად მოსყიდული პრესის სასტიკი ანტისაბჭოთა კამპანიისა, პუანკარეს მთავრობამ ვერ გაბედა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტა, ხოლო საბჭოთა კავშირმა სპარსეთსა და ლატვიასთან დასდო სამეგობრო ხელშეკრულებები. ინგლისის მთავრობა მთელი თავისი ძალღონით ცდილობდა ამ ხელშეკრულებების რატიფიკაციისათვის ხელი შეეშალა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. როგორც სპარსეთის მეჯლისმა, ისე ლატვიის პარლამენტმაც დაადასტურეს იგი.

სპარსეთის ამ გაბედულ ნაბიჯს ინგლისის მთავრობამ უპასუხა ულტიმატუმის წარდგენით, რომლითაც მოითხოვს სპარსეთის საზღვრებიდან 1924 წელს აჯანყებისათვის გამეფებულ ფეოდალის სპარსეთში შემოშვებას, მისთვის ჩამორთმეულ მამულების დაბრუნებას და აგრეთვე მთელ რიგ სხვა საკითხების სპარსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაწყვეტას.

ჯერ-ჯერობით, ინგლისის იმპერიალიზმის ამ თავხედურ გამოსვლაზე სპარსეთის მთავრობას არ გაუცია პასუხი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსეთის პასუხი არ იქნება კონსერვატორებისათვის ხელსაყრელი.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის გავლენას თანდათანობით აღწევენ თავს დღემდის მისი გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები, რაც უნდა მიეწეროს საბჭოთა კავშირის განმტკიცებას.

მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია გერმანიის ბურჟუაზიული პრესის ხმის ამაღლება ინგლისის გავლენისაგან თავის დასაღწევად. დღემდის ინგლისი ყოველმხრივ ცდილობდა გერმანიის გადაბირებას ანტი-საბჭოთა კოალიციაში. ლოკარნოს ხელშეკრულება ამ მიზნით იქნა გამოგონილი, მაგრამ როგორც სჩანს კონსერვატორებს აქაც კოვზი ნაცარში უვარდებათ. გერმანიის სასიცოცხლო ინტერესები აშკარად უკარნახებენ მის მეთაურებს საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობას და ეს ჭეშმარიტება ეტყობა მათაც საბოლოოდ შეუთვისებიათ. ამის საუცხოვო დადასტურებას წარმოადგენს გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანოს — „კელნიშე ცეიტუნგის“ წერილი, სადაც ნათქვამია: „არც რუსეთის ბურჟუაზიისა და ემიგრანტებისათვის და არც ინგლისის გულისათვის გერმანიას არ სურს და არ შეუძლია უარი სთქვას მეგობრულ ურთიერთობაზე დღევანდელ რუსეთთან. გარმანიას არ შეუძლია წავიდეს სხვა სახელმწიფოებთან და უნდა იაროს სწორედ რუსეთთან ერთად, თუნდაც ბოლშევიკებთან. ამას გვიჩვენებს განიარაღების ეხლანდელი კონფერენცია, რომელზედაც დიდი სახელმწიფოები იძულებული არიან დაუშვან საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირის ამ კონფერენციაზე მხოლოდ დასწრების ფაქტით და განცხადებით, რომ იგი მზად არის განიარაღდეს, დაარღვევს თავისი დასავლეთის მეზობლების კონცეპციას, რომელნიც უკანასკნელ დრომდე უარს აცხადებდენ განიარაღებაზე, ემყარებოდენ რა საფრთხეს საბჭოთა კავშირის მხრით“.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გერმანიის რესპუბ-

ლიკას დღეს განაგრძობენ მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ზემოხსენებულ გაზეთის განცხადებას ეძლევა გადამჭრელი მნიშვნელობა. იმ მიზნით, რომ გერმანიის კაპიტალიზმმა თავი დააღწიოს ანტანტის და უპირველეს ყოვლისა ინგლისის გავლენას, ის ძალა-უნებურად იძულებული ხდება მჭიდრო ეკონომიური კავშირი იქონიოს საბჭოთა რესპუბლიკებთან, რამდენადაც ეს გარემოება „საწყენად“ არ უნდა დაურჩეს, როგორც რუსეთის ბურჟუაზიასა და თეთრგვარდიელებს, ისე ინგლისელ კონსერვატორებსაც.

მაგრამ ამ განცხადების შინაარსი მარტო ამ ფაქტით არ ამოიწურება. საქმე ისაა, რომ 30 ნოემბერს ჟენევაში უნდა გაიხსნას განიარაღების კონფერენციის წინასწარ მოსამზადებელი კომისიის სესია, რომელიც მოწვეულია ერთა ლიგის ინიციატივით. როგორც ვიცით, ამ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი განაცხადა აგრეთვე საბჭოთა მთავრობამაც და გერმანიის ბურჟუაზიას სურს ეს მონაწილეობა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.

ვერსალის ზავის პირობით განიარაღებული გერმანია ეძებს მოკავშირეებს, რომ აიძულოს გამარჯვებული სახელმწიფოები განიარაღებაზე დათანხმებისათვის და ამ საქმეში მას ყველაზე უკეთეს მოკავშირედ მიაჩნია საბჭოთა კავშირი, რომელიც მართლაც ნამდვილი მოსურნეა შეიარაღების შემცირების და მშვიდობიანობის დამკვიდრებისა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ გერმანია მხარს დაუჭერს საბჭოთა დელეგაციის პრინციპებს განიარაღების კონფერენციაზე, რაც საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს ანტანტის ქვეყნების დღევანდელ მესვეურებს.

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ, როგორც წინა კონფერენციები, ისე მომავალი კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდება, მაგრამ აქ ერთხელ კიდევ დადასტურდება იმპერიალისტების თვალთმაქცობა და საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტი მშვიდობის მოყვარეობა, მიუხედავად „ფორვერსტის“ წინასწარი სისინისა.

აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებასაც: როგორც ცნობილია, საზღვარგარეედ გადახვეწილი კონტრრევოლიუციონერები და მათ შორის უპირველეს ყოვლისა ქართული ემიგრაცია დღემდის მთავარ იმედებს ამყარებენ ევროპის იმპერიალისტების დახმარებაზე. საქართველოში თვით 1924 წლის აგვისტოს გამოსვლები უმთავრესად ეყრდნობოდა გარეშე ძალის დახმარების იმედებზე. ყოველ შემთხვევაში ასეთ ინფორმაციას აწვდიდენ ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ ჯგუფებს. იგივე მეორდება დღესაც.

გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთის ამ განცხადების შემდეგ მაინც ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ მსოფლიო ბურჟუაზია და მასთან ერთად მათი დამხმარე რეფორმისტული პარტიები, რომლებიც გაერთიანებული არიან მე-2 ინტერნაციონალში, მოქმედებენ მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ქვეყნების გაბატონებული კლასების ინტერესებისათვის და ჩირადაც არ უღირთ მცირე და დაჩაგრული ერების ბედი.

ბურჟუაზიას ეჯავრება საბჭოთა წყობილება, სურს მისი მოსპობა, მაგრამ, გრძნობს რა თავის უძლურებას, იძულებულია მასთან შეთანხმების ენით ილაპარაკოს. ამას ადასტურებს, როგორც ლოიდ-ჯორჯის განცხადება საარჩევნო კრებაზე, ისე „კელნიშე ცეიტუნგის“ ალსარებაც. აქედან შესაფერი დასკვნები უნდა გააკეთონ იმათ, ვინც ევროპის ბურჟუაზიისა და ერთა ლიგის დახმარებაზე ამყარებს იმედებს ეროვნული განთავისუფლებისათვის.

ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელმაც საქმით დაამტკიცა ჩაგრული ერების მესვეურობა და გმოიყვანა ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების ზედა პირზე—არის საბჭოთა ხელისუფლება, რომლის მხარის დაჭერა და გამაგრება უნდა იყოს როგორც თვითეული მშრომელის, ისე ყველა ჩაგრული ერების მოვალეობა.

ს. ელიაძე.

# „ბრძოლის“ რედაქციას

Pro domo.

## VI

„ტიფლ. ლისტ.“—ჩვეულებრივი ბურჟუაზიული გაზეთი იყო. არც მეტი, არც ნაკლები. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ტირაჟი სხვა ადგილობრივ გაზეთების ტირაჟთან შედარებით ერთი-სამად და ხუთად მეტი იყო. ის შინაარსის მხრიდაც ისეთივე შინაარსის იყო, როგორც თბილისის ყველა სხვა რუსული გაზეთები... ნიკოლაძის „ობზორს“ ან „ნოვოე ობოზრენიეს“ ძველ გამოცემას მე არ მოვსწრებივარ. რაც შეეხება თუმანიშვილის „ნოვოე ობოზრენიეს“, იმას „ტიფლ. ლისტოკი“ სჯობდა; ეს უკანასკნელი ხანდა-ხან მაინც ბედავდა ისეთი წერილების დაბეჭდვას, რასაც თუმანიშვილი ახლოსაც არ გაიკარებდა.

უდიდესი საქმე, რომელიც შეიძლებოდა ქონოდა ჟურნალისტს იმ დროს ისეთ დიდ ქალაქში, როგორც თბილისია, ეს ქალაქის სამმართველო და მისი საქმეები იყო. თბილისის ქალაქის სამმართველო უკანასკნელი ოცი-ოცდახუთი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ დაშნაკელების მიერ დარაზმულ სომხის ბურჟუაზიის ხელში იყო. სომხის ბურჟუები და პლუტოკრატები ითვლებოდენ ქალაქის „მამებათ“. ამიტომ „ნოვოე ობოზრენი„-ე და განსაკუთრებით „კავკაზსკოე სლოვო“, რომელიც დაშნაკელების ლეიბ-ორგანოს წარმოადგენდა, რა თქმა უნდა, ქება-დიდების გარდა არაფერს არ ბეჭდავდენ ქალაქის „მამების“ წინააღმდეგ. ტფილ. ლისტ.“ ხელმძღვანელებიც სომხის ბურჟუები იყვენ, მაგრამ მათ სასარგებლოთ უნდა ვთქვათ, რომ ისინი არავითარ ანგარიშს არ უწევდენ ამ გარემოებას და თუ ყოველთვის არა ხანდახან მაინც მაძლევდენ საშუალებას დამეწერა ქალაქის „მამების“ შესახებ ისე, როგორც მე თვითონ მინდოდა და საჭიროთ ვთვლიდი. თითქმის არასოდეს არ მომხდარა, რომ რედაქციას ჩემი წერილი ქალაქის საქმეების შესახებ ვისიმე მორიდებით არ დაებეჭდოს. ამას მხოლოდ გაზეთის ხელმძღვანელები სჩადიოდენ ადგილობრივი ადმინისტრაციის შესახებ, რაც ჩვენ უკვე დავინახეთ კავკასიის მზრუნველი—რუდოლფის ისტორიიდან.

აქ მეტად არ მიმაჩნია საილუსტრაციოთ ერთი ფაქტის მოყვანა.

თბილისის ქალაქის „მამებმა“ თავისი პეტერბურგელი კოლეგების მიბაძვით პირველ დაწყებით სკოლაში მთელი რეფორმის შეტანა გადაწყვიტეს. ეს რეფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ქმრიანი მასწავლებელი ქალები სკოლიდან უნდა გაედევნათ. თუ მასწავლებელი ქალი გათხოვდებოდა, ის მექანიკურად ტოვებდა სკოლას და მის ალაგს ახალგაზრდა, გაუთხოვარი, მასწავლებელი ქალი იჭერდა. ერთი სიტყვით, ქალაქის „მამებმა“ მოინდომეს დაწყებითი სკოლები ვესტალკებისთვის ჩაებარებიათ. ქმრიან ქალებს, გამოცდილ დედებს, ერეკებოდენ ბავშვების აღზრდის სფეროდან, დაწყებითი სასწავლებლიდან. ასეთი დადგენილება სასკოლო კომისიამ უკვე მიიღო. სულ რამოდენიმე დღეში ის უნდა განეხილა საბჭოს და მისი ცხოვრებაში გაყვანის საქმე უზრუნველყოფილი იყო.

ქალაქის სკოლების მასწავლებელი ქალები, უმეტესად ქმრიანი ქალები, დატრიალდენ. მათ მოინდომეს

ქალაქის „მამებზე“ და უმაღლეს ადმინისტრაციაზე გავლენის მოხდენა....

ამ მიზნით მომმართეს მე კოლექტიური წერილით, რომელშიც მთხოვდენ გამოვქომაგებოდი მათ, როგორც ჟურნალისტი რომელიმე ადგილობრივ რუსულ გაზეთში... მეც ენერგიულად შეუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას. „ტფილ. ლისტ.“-მა ხმის შეუბრუნებლად დამიბეჭდა დიდი წერილი ამ საგანზე (იხ. „ტიფლ. ლისტ.“, № 212, 1908 წ. («Со стороны» Н. Павлович). წერილი ერთობ მრისხანე კილოთია დაწერილი და თავის მოწონებათ ნუ ჩამომართმევთ, თუ გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ამ წერილში გამოთქმული აზრები პირველ დაწყებითი სკოლის შესახებ მხოლოდ დღეს პოულობს გასავალს თანამედროვე სკოლაში....

ასე იყო თუ ისე კამპანია ჩინებულად ჩავატარეთ. ბრძოლა მოვიგეთ.... მაშინ ასეთი ბრძოლა ჩვენ დიდ საქმეთ მიგვაჩნდა. ჩემი პარტიული ამხანაგები და პარტიული პრესა მაშინ ჩემს ასეთ „რენეგატობას“ ტაშს უკრავდენ. ჩემი წერილები თუნდაც იმ „ტიფლ. ლისტ.-“ში ყოველთვის პოულობდა მათში თანაგრძნობასა და გამოძახილს...

კიდევ ერთი დეტალიც: თითქმის ყველა ჩემი წერილები, როგორც „ტიფლ. ლისტოკ“-ში, ისე თბილისის სხვა ბურჟუაზიულ გაზეთებში იბეჭდებოდა საერთო სათაურით: „სო სტორონი“, ეს ნაკარნახევი იყო ჩვენი პარტიის მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მიერ და არა ნიკო ნიკოლაძის მიბაძულობით, რომელიც ამ სათაურით სწერდა ოდესღაც რუსულ გაზეთებში. პირადად მე ასეთ სათაურს არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდი. ჩემის აზრით, საქმე სათაურში როდია: საქმე ის არის, თუ რაზე სწერ? როგორ სწერ? ვისა და რას ემსახურები? რა იდეალებს იცავ?

აი, კეთილ ინებონ და ამ მხრით მიუდგენ საკითხს „ბრძოლის პუბლიცისტებმა. დავით შარაშიძესა და გრიგოლ ურატაძეს ურჩევ შეადარონ ეს ჩემი „ბურჟუაზიული“ ნაწერები თავიანთ „სოციალისტურ“ ნაწერებს და რაც ამ შედარებით მოიგონ, სახლში წაიღონ. კეთილაც შეირგონ....

ახლა ლევან ყიფიანის სარედაქციო კოლეგია და მასთან თანამშრომლობაზე.

არიან ბედის მიერ რჩეული ადამიანები. პირდაპირ დედის საშოდან იბადებიენ ისეთები, რომლებზეც რუსის ხალხი ამბობს родился в сорочке. ასეთი ადამიანები, რაც უნდა ქნან, მაინც ყველას უყვარს, მათით ყველა კმაყოფილია. მათ როგორც არ უნდა გადააგდონ კოჭი, მაინც ალჩუზე დაუდგება.

სამაგიეროდ იბადებიენ ხოლმე ისეთი ადამიანები, რომლებიც არავის არ უყვარს, ყველას ძულს, ყველას ეზარება. ასეთი ადამიანი, როგორც ჩვენში იტყვიან, ყველას რომ თავით ნიორი დაუნაყოს, მაინც არავის უყვარს. მას ყველა აძაგებს, აგინებს.

რატომ? მიზეზი არავინ იცის... ამ ადამიანით საჭირო დროს ყველა სარგებლობს. იმსახურებენ, საქმეს გააკეთებიებენ და შემდეგ, როცა ის საჭირო არ იქნება,—გვერდს აუვლიან, არც კი ამჩნევენ მის არსებობას და თუ ოდესმე იგი ქუჩაში შემოეფეთა, მედიდურად აიპრუწვენ ტუჩებს, მისთვის თავის დაკვრაც, სალამის მიცემაც კი ძლივს ემეტებათ. ასეთ ადამიანს ხშირად ნიჭიც ვერ შველის. მის ოქროსაც ვერ ამჩნევენ იქ, სადაც ზოგიერთი უნიჭო მეტიჩარას ბამბაც კი ჩხრიალებს.

ქართველ „საზოგადოებაში“ რაღაც ასეთი ბედის ადამიანათ გაჩენილა ლევან ყიფიანი. ის თბილისში ძველი ჟურნალისტია. ოცდაათი წელიწადი იქნება, რაც ის ადგილობრივ რუსულ ჟურნალ-გაზეთებში სწერს. მისი [illegible] მტერიც კი იტყვის, რომ ის ნიჭიერი ჟურნალისტია. ასეთი დიდი დროს განმავლობაში არ დარჩენილა ჩვენში არც ერთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც მას არ აღენიშნოს, არ ყოფილა არც ერთი საჭირ-ბოროტო საქმე, რომლის შესახებაც მას არ ეწეროს... ქალაქის საქმეები, თეატრი,—განსაკუთრებით ქართული თეატრი,—ქართული საზოგადოებრივობა. სწერდა პუბლიცისტურ ფელეტონებს, სწერდა პატარ-პატარა მოთხრობებს ქართველი გლეხის ცხოვრებიდან, სწერდა პროზით, ლექსით...

და ასეთი მწერალი ყოველთვის სძულდა ქართველ ეგრეთწოდებულ საზოგადოებას. ვინ იცის რა სახელს, რა დამამდაბლებელ ეპიტეტებს არ უწოდებდენ მას? იუდა, მოღალატე... და ვინ იცის კიდევ რას!.. ასეთი სახელებით ნათლავდენ მას, თუმცა მისი ნაღალატევი უნახავს ვისმეს და არც ნაიუდევი...

ეს ნიჭიერი ჟურნალისტი, რომელსაც ასეთი ეპიტეტებით ამკობდენ, მუდამ სიღარიბეში ცხოვრობდა და მგონი დღესაც ასე ცხოვრობს. მის მახლობელებს ერთხელაც არ უნახავთ იგი ისეთ „მდიდრულ ცხოვრებაში“, როგორშიც ცხოვრობს თუნდაც საშუალო რანგის მოხელე.

რაში იყო საქმე? როგორ და რით დაიმსახურა ამ ჟურნალისტმა ეგრედწოდებული ქართველი საზოგადოების სიძულვილი?

მიზეზი ერთი იყო. ქართველ „საზოგადოებაში“, როგორც ყველა სხვა „საზოგადოებაში“ ყოველთვის იყო ისეთი წრე, ისეთი საზოგადო მოღვაწეები, რომლების კრიტიკულად შეხებას ჟურნალისტს არავინ აპატიებდა. ჩვენში იყვნენ ისეთი საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც პირდაპირ დალაილამად იყვენ მიჩნეული და რომლების წინააღმდეგ ხმის ამოღება ქვეყნის ღალატად იყო გამოცხადებული

როგორც მუხას მუმლი, ისე ეხვევოდენ ასეთ „დალაილამას“ მთელი ერის ყველა უნიჭო, მაგრამ თავის გამოჩენის სურვილით დაავადებული მწერლები და „საზოგადო მოღვაწენი“, რომლებიც, თუ მათ სათაყვანებელ კერპს ვინმე კრიტიკულად შეხებას გაუბედავდა, ასტეხდენ ერთ აურ-ზაურსა და დაუსრულებელ ყეფას და ასეთ თავხედ ადამიანს, განსაკუთრებით თუ იგი ჟურნალისტი იქნებოდა, ქვეყნის მოღალატედ გამოაცხადებდენ.

საკმაოა მოვიგონოთ ეგრედწოდებული „წიწამურის ტრაგედია“ და მის ირგვლივ ატეხილი [illegible] ს.-დ. პარტიისა და ზოგიერთი მისი წევრების წინააღმდეგ. დიდი ილიას ირგვლივ დარაზმული პატარა კაცუნებისთვის პოეტის ასეთი ტრაგედია მოსაგები, ყოველ შემთხვევაში, თავის გამოსაჩენ საქმეთ გადაიქცა. ქართველი ლიტერატურისა და ხალხის ასეთი უბედურების დროს ყველა პატარა კაცუნა „ორჩოფეხებზე“ გამოიჭიმა და მოყვა ს.-დ. პარტიისა და მისი თვალსაჩინო წევრების ლანძღვა-გინებას... და თუ ამ „ბრძოლაში“ გავიმარჯვეთ, თუ ჩვენ მაშინ დიდი პოეტის სახელითა და დიდებით მოვაჭრე კაცუნებმა არ გაგვსრისეს, არა იმიტომ, რომ ჩვენ, ესე-იგი ის ჟურნალისტები, რომლებიც ამ საგანზე მათთან პოლემიკას ვაწარმოებდით, ძლიერი და შეუდარებელი მებრძოლები ვიყავით. არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით წევრები საქართველოში უდიდესი და უძლიერესი პარტიისა და ვეყრდნობოდით ქართველი ხალხის უფრო შეგნებულსა და აქტიურ ნაწილს—მუშებსა და გლეხებს. ეს გარემოება გვიასკეცებდა ძალას და ჩვენც ბრძოლაში ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით...

ლევან ყიფიანს, როგორც ჟურნალისტს, ხშირად უხდებოდა ქართველი საზოგადოებრივობის დამპალ ჭაობში ქვის გადაგდება, მის მყუდროების დარღვევა, მისი ამოძრავება და ასისინება. ყიფიანი კიდევ უფრო მით იყო ამ „საზოგადოებისათვის“ მიუღებელი, რომ იგი ქართულ საქმეებზე სწერდა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში და მაშასადამე ქართველ მოღვაწეთა სახლებიდან „ნაგავი კარში გამოჰქონდა“...

და ამ ჟურნალისტის უდიდესი უბედურება ის იყო, რომ იგი უდიდესი ინდივიდუალისტი იყო, რომ იგი არასოდეს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა და ამიტომაც მუდამ მოკლებული იყო იმ ძალას, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და რომელიც ჩვენ ამირანის ძალას გვაძლევდა მტრებთან ბრძოლის დროს. ის მოკლებული იყო ხალხის საუკეთესო ნაწილის თანაგრძნობას, ან უკეთ

რომ‌ა ვთქვათ, ხალხის ეს ნაწილი მას არ იცნობდა და ამიტომ არც იცავდა.

ს.-დ. პარტია ლევან ყიფიანს ასეთი თვალით არ უყურებდა, ან თუ მართლა გნებავთ, მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია. მაგრამ ჩვენი პარტიის ცხოვრებაში იყო ისეთი დროც, როცა ლევან ყიფიანის კალმით ჩვენ საკმაოთ გვისარგებლია.

„ბრძოლის“ ხელმძღვანელები დღეს თავის გუშინდელ მოსისხლე მტრებს ემუდარებიან, მათთან სრულ პოლიტიკურ კავშირში ბრძანდებიან და სრულიად ბუნებრივია, რომ ისინი თავისი ახალი პოლიტიკური მეგობრების ძველ მტრებს მტრობენ. მაგრამ არც ისე დიდი ხანია მას აქეთ, რაც დღეს მათ მიერ ათვალწუნებული ლევან ყიფიანი „ბრძოლის“ შეფი ნოე ჟორდანიასა და ყარიბთან ერთად სასტიკად სცემდა ს.-დ. ყველაზე უფრო შეურიგებელ მტრებს.

დღეს ნოე ჟორდანიას „ბრძოლა“ მე ბრალდებათ მიყენებს ლევან ყიფიანთან ერთ სარედაქციო კოლეგიაში ყოფნას.

ეს ტყუილია. ლევან ყიფიანს არასოდეს არ ჰქონია თავისი გაზეთი და დადასტურებით შემიძლია ვთქვა, რომ ის არასოდეს არც ერთი რედაქციის კოლეგიის წევრი არ ყოფილა. ის აგრეთვე არასოდეს არ ყოფილა არც ჩემი რედაქციის კოლეგიის წევრად. ის კი მართალია, რომ ლევან ყიფიანი სწერდა ჩვენს სასარგებლოდ და სწერდა არა მარტო სხვის გაზეთებში, არამედ ისეთებშიაც, რომლებიც თბილისში რუსულ ენაზე გამოდიოდენ ს.-დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხარჯით.

მაგალითად, ის ერთ დროს სასურველ თანამშრომლად ითვლებოდა გაზეთი „ნაშა ჟიზნი“-სა, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი ვიყავი მე და რომლის მუდმივი თანამშრომელი ბრძანდებოდა ნოე ნიკოლოზისძე ჟორდანია.

საბედნიეროდ, ჩვენ ხელთა გვაქვს ამ გაზეთის თუმცა არა სრული კომპლექტი, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ ლევან ყიფიანი ნიჭიერი, პირდაპირ დაუფასებელი თანამოკალმე ყოფილა ნოე ჟორდანიასი.

ავიღოთ „ნაშა ჟიზნ“-ის მეორე ნომერი. აქ პირველი სტატია: „Истинно-грузинская пресса“ — ეკუთვნის პატივცემულ ან-ის კალამს. ეს სტატია მიმართულია ქართველი სხვადასხვა ჯურის შავრაზმელების წინააღმდეგ. იმავე „ნაშა ჟიზნ“-ის მესამე ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ლევან ყიფიანის ნიჭიერად დაწერილ სტატიას შემდეგ სათაურით: „В угоду кому?“ ლ. ყიფიანი თავს ესხმის იმავე ქართველ შავრაზმელებს და იცავს იმავე დებულებებს, რომლებსაც წინა ნომერში იცავდა თვით ნ. ჟორდანია.

იმავე გაზეთის მეოთხე ნომერში ჩვენ ვკითხულობთ **ან**-ის სტატიას სათაურით: „еще об „Истинно-грузинской прессе“. იქვე იმავე ნომერში დაბეჭდილია ლევან ყიფიანის ნიჭიერად დაწერილი სტატია: „Хеобели и mania grandisa“.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გამოგვადგა „ნაშა ჟიზნ“-ის სრული კომპლექტი, მაგრამ რაც გამოგვადგა იქიდანაც აშკარაა, რომ 1908 წელს სოც.-დემ. პარტია და მისი ლიდერი არც ისე სასირცხოდ თვლიდენ ლევან ყიფიანთან ერთად წერას, მასთან ერთად საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლას, თავის პარტიულ გაზეთში მის თანამშრომლობას.

თუ მკითხველი მოიგონებს, რომ **ან**-ი თვითონ ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია და ის ყიფიანთან ერთად სწერდა ცენტრალური კომიტეტის ორგანოში, მაშინ დამეთანხმება თუ ვიტყვი, რომ უდიდესი მარცხი მოუვიდათ ნ. ჟორდანიასა და მის „ბრძოლა“-ს, როცა ისინი მე ბრალად მიყენებენ ლევონ ყიფიანთან ერთ გაზეთში თანანამშრომლობასა და წერას.

1908 წელს ლევან ყიფიანი თავის კაცათ, თავის თანამოკალმეთა და თანამებრძოლათ მიაჩნდა ნ. ჟორდანიას. ყოველ შემთხვევაში ის მისი წერით კმაყოფილი იყო.

დღეს? დღეს ყიფიანთან გავლასაც კი ცოდვათ მითვლიან.

რაშია საქმე?

მოგეხსენებათ ქართული თქმულება: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის ან ზნესაო.

ქართველ ნაციონალისტებსა და ფაშისტებთან პოლიტიკური კავშირის შემდეგ ნ. ჟორდანიამ და მისმა ჯამიტლაკიებმა სულ ერთიანად შეიცვალეს ზნეცა და ფერიც და რა გასაკვირია, რომ მათ ლევან ყიფიანის შესახებაც ქართველი ნაციონალისტების შეხედულება შეითვისეს.

ამ შემთხვევაში კი „ბრძოლის“ კალმოსნები ამაოდ დამაშვრალან. პირადად მე არასოდეს არ მქონია ლ. ყიფიანთან მეგობრული კავშირი. პირიქით, მე არა ერთი კალამი გამიღევია მასთან პოლემიკაში (იხ. ტ. ლ.“, №№ 61, 62, 63, 64, 1910 წლისა), მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ „ბრძოლას“, რომლის რედაქტორიც ბრძანდება ხოშტარიას ცნობილი „პრიკაშჩიკი“ დავით შარაშიძე, ის დავით შარაშიძე, რომელიც თავისი „ხაზეინის“ ინტერესებისთვის ენერგიულად ებრძოდა იმავე ხოშტარიას წარმოებაში გაფიცულ მუშებს, ლევან ყიფიანზე ასე მედიდურად წერა და ლაპარაკი, მეტი რა არა ვთქვათ, შეუფერებელია.

ბრძოლელების ახალ „ზნესა“ და „ფერში“ უნდა ვეძებოთ იმის მიზეზიც, რომ დღეს მათი ბრძოლა „ხაჩატუროვის ლასტოკსაც“ ასე მედიდურად უცქერის. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ ვსარგებლობდით თავის დროზე „ხაჩატუროვის ლისტოკითაც“. და თუ ახლა მის შესახებ „ბრძოლა“ ასე ცხვირაწეულად ლაპარაკობს ეს, უნდა ვიფიქროთ, არა იმიტომ, რომ „ლისტოკი“ ბურჟუაზიული გაზეთი იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი **სომეხი ხაჩატუროვის** გაზეთი იყო. ასე უყურებდენ ამ საქმეს ის ქართველი შოვინისტები, რომლებთანაც დღეს ჟორდანია და მისი ამხანაგები ერთად, ერთ პარიტეტში „მოღვაწეობენ“. ძაღლის თავი მხოლოდ აქ არის დამარხული. აბა რა სოციალისტური გამოცემები იყო ქართველი შოვინისტების „ივერია“ ან ჟურნალი „მოამბე“, რომ ნ. ჟორდანიას არა თუ სასირცხოდ არ მიაჩნდა იმათში თანამშრომლობა, სიამოვნებითაც თანამშრომლობდა.

„ბრძოლის ხელმძღვანელები ქართველ ნაციონალისტებთან არიან დაბმული ერთ ბაგაზე და რა გასაკვირია, რომ ამ საგანზეც მათი შეხედულება შეითვისეს.

მეტი რომ არა ვთქვათ, ერთობ კურიოზულია დღეს ბრძოლელების მდგომარეობა. ეს დალოცვილები ბურჟუაზიულ გაზეთებში ასე გავლით თანამშრომლობას ბრალდებათ გვიყენებენ და იმავე დროს თვითონ პოლიტიკური და იდეური კავშირით ეკვრიან ქართველ ნაციონალისტებს, დაწყებული ნაციონალისტ-შოვინისტებიდან და გათავებული „თეთრი გიორგის“ ირგვლივ დარაზმულ ქართველი ფაშისტებით. მათთან ერთად სცემენ პოლიტიკურ გაზეთს.

საბრალო „ბრძოლა“ და მისი პუბლიცისტები: რა დიდათა გვავენ ისინი იმ სულელსა და თანაც ამპარტავან ყვავს, რომელიც ნისკარტით ძოვრს სჯიჯგნიდა და კუდი კი ზევით აუბზეკია— არ დამესვაროსო.

**ყარიბი.**

# საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის გამო

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასებმა ზეიმით იდღესასწაულეს დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი. ამ დიად ისტორიულ მოვლენას ყველა გამოეხმაურა. მტრებმაც და მოყვრებმაც სთქვეს თავისი სიტყვა. საბჭოთა კავშირის ყოფა-ცხოვრებისა და რუსეთის სოციალურ რევოლიუციის მნიშვნელობის შესახებ. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან ოქტომბრის რევოლიუციამ შეარყია მთელი მსოფლიო; მან ერთის მხრივ მოსვენება დაუკარგა, საგონებელში ჩააგდო ყველა მყვლეფელები და მძარცველები, ყველა სჯულის იმპერიალისტები და ბურჟუები, რომლებიც თავიანთ ბატონობის შესანარჩუნებლად დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ იმ ძალის წინააღმდეგ, რომლებიც მას სიკვდილს, განადგურებას უქადის.

ეს ძლიერი ძალა კი არის კომუნიზმი, რომლის მებაირახტრეა დღეს მთელ მსოფლიოში საბჭოთა კავშირი; მიტომ არის, რომ მას ასე გააფთრებით ებრძვის საერთაშორისო კაპიტალიზმი და მისი დამქაში ბურჟუაზია. მაგრამ ამ ბრძოლას აქვს ათი წლის ისტორია, რომელიც არც ისე დიდი დროა ისტორიისათვის, მაგრამ იმ ნორჩი, სოციალისტურ რესპუბლიკებისათვის, რომელიც, მიუხედავად მრავალგვარ დამაბრკოლებელ პირობებისა, წარმატებით აწარმოებს სოციალიზმის მშენებლობას, ეს ხანა საუკუნედ უნდა ჩაითვალოს. ოქტომბრის რევოლიუცია ჩირაღდანი, გზის მაჩვენებელია მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასებისათვის, რომლის უმეტესობა დღეს სულს ღაფავს კაპიტალისტების ბრჭყალებში. მან დღეს იმედი ჩაუნერგა საერთაშორისო მუშათა კლასს, რომელიც დღეს უკვე სარგებლობს ოქტომბრის რევოლიუციის გაკვეთილებით. ის მედგრათ ადგამს ნაბიჯებს ოქტომბრის რევოლიუციის ნაცადი გზით, რომელიც არ გამოდგა ისე პოლიპული, როგორც ეს პირველ ხანებში ეგონა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიას და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებს.

იმპერიალისტები და მათი მაჩანჩალა პოლიტიკური პარტიები ცდილობდენ დაეფარათ ევროპის მუშათა კლასისათვის საბჭოთა კავშირის სინამდვილე, საბჭოთა კავშირში მუშასა და გლეხის ყოფა-ცხოვრება; ეს იმიტომ, რომ მათთვის არ წარმოადგენდა სარფას, რომ საერთაშორისო მუშათა კლასი დაწვრილებით გაცნობოდა სოციალისტურ მშენებლობის მეთოდებს, ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართ. ევროპის მუშათა კლასის მოსატყუებლად, მის თვალების ასახვევათ შემთანხმებლები განგებ თხზავდენ ჭორებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ისინი სხვადასხვა შეხამებული ფერებით უხატავდენ მუშებს საბჭოთა კავშირის ჯოჯოხეთურ პირობებს. მაგრამ არ გასჭრა მათმა ცდამ, ევროპის მუშათა კლასმა თვითონ, საკუთარის თვალით განიზრახა საბჭოთა კავშირის სინამდვილის ხილვა; ამ მიზნით დაიწყო საბჭოთა კავშირისაკენ დენა მთელმა რიგმა უცხოეთის მუშათა დელეგაციებმა. მაგრამ ზოგიერთი დელეგაციის წევრები, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიის ბანაკიდან მეტად ცალმხრივად აშუქებდენ საბჭოთა კავშირის სინამდვილეს, იქ ნახულს და განცდილს მეტად სუბიექტიურად უშლიდა თვალწინ ევროპის მუშათა კლასის აუდიტორიას (გაიხსენეთ პერსელის და სხვების კამპანია), მაგრამ დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე საბოლოოთ გადაილახა რუბიკონი, მოსკოვს მოაწყდა აუარებელი უცხოეთის მუშათა დელეგაციები, რომლის მიზანი იყო ერთხელ და სამუდამოდ გაცნობოდა საბჭოთა კავშირის მუშისა და გლეხის ცხოვრებას, მიუდგომლად შეეფასებია რუსეთის მუშათა კლასის სოციალიზმის მშენებლობის გზები. დელეგაციებს არ დაუტოვებიათ საბჭოთა კავშირის ცხოვრების არც ერთი კუნჭული, ყველაფერს გაეცნენ.

როგორი შთაბეჭდილება დასტოვა მათზე საბჭოთა კავშირის ცხოვრებამ, დარჩენ თუ არა ისინი კმაყოფილი საბჭოთა კავშირის სინამდვილის გაცნობით?

ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს იძლევა საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი, რომელიც გაიმართა მოსკოვში იმ უცხოეთის დელეგატებისაგან საბჭოთა კავშირის დაწვრილებით გაცნობის შემდეგ.

კონგრესი შესდგებოდა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, შვეციის, ჩეხო-სლოვაკიის და სხვა უცხო სახელმწიფოების მუშებისა და გლეხების წარმომადგენელთაგან. აქ არ იყვნენ მარტო კომუნისტები, იყვნენ აგრეთვე უპარტიოები და გონზე მოსული სოციალ დემოკრატები.

კონგრესმა ასწონ-დასწონა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ცხოვრება, ჯამი გაუკეთა ნახულს და მთელ ქვეყნის გასაგონათ სთქვა:

„ყველა ქვეყნის მუშებო! შეერთებული ძალით ებრძოლეთ კაპიტალს და დაიცავით მშრომელთა სამშობლო, საბჭოთა კავშირი, ყოველგვარი საშუალებით დაიცავით ეს თავისუფლების კერა და სოციალიზმის ციხესიმაგრე!

მოგმართავთ თქვენ, ყველა ქვეყნის მშრომელებს, კულტურისა და ცივილიზაციის გულწრფელ დამცველებს, აწარმოეთ ბრძოლა ომის სამზადისის წინააღმდეგ. მუშურ სახელმწიფოს წინააღმდეგ ომი ნიშნავს ტეხნიკის, კულტურის, მეცნიერების და ხელოვნების განადგურებას. ყველა ქვეყნის მუშებო და გლეხებო! ამხედრდით მოსალოდნელ იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ. მედგრათ შეებრძოლეთ სისხლიან ფაშიზმს. დაიცავით საბჭოთა კავშირი მოსალოდნელი ომისაგან“.

აი, ის დასკვნა, რომელიც გაუკეთა უცხოეთის დელეგაციებმა საბჭოთა კავშირის ყოფა-ცხოვრებას.

საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესი ნამდვილი გვირგვინი იყო ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე მსოფლიოს მუშათა კლასს საბოლოოთ აეხილა თვალები, ამიერიდან მათ შორის ნაკლები გასავალი ექნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეთხზულ ჭორებს. კონგრესმა ბასრი მახვილი ჩასცხო გულში საერთაშორისო იმპერიალიზმს და საბჭოთა კავშირის ყველა მტრებს.

**უპარტიო.**

# სოციალ-რეფორმისტ ბელადების მოღალატეობის ტრადიცია

სოციალ-რეფორმისტ ბელადებმა ყველგან შექმნეს მოღალატეობის და გამცემლობის ტრადიცია. კაუტსკი-რენოდელ-ტომას-ბაუერები ყოველთვის მზად არიან რეზერვში, რომ საჭირო დროს დახმარება აღმოუჩინონ ბურჟუაზიას, დაიხსნას იგი პოლიტიკურ და ეკონომიური კრიზისებით შექმნილ გართულებულ მდგომარეობიდან. იმდენად მრავალია ამის მაგალითები, იმდენად დიდია ეს ტრადიცია, რომ ბურჟუაზიას არავითარი ეჭვი არ ეპარება მათ ერთგულობაში და სრული ნდობით ეწევა მათთან პოლიტიკურ თანამშრომლობას, სანამდე საჭიროა ეს, ვიდრე კიდევ ვერ მოუხერხებია სახელმწიფო აპარატის დაპყრობა და მისი თავისი კლასიური ორგანიზაციებისათვის დამორჩილება.

ასე მოიქცა სოც.-დემ. გერმანიაში. შეიდემან-ებერტების შემწეობით გერმანიის რეაქციამ მოახერხა რესტავრაციის ევოლიუციონური გზით განხორციელება, „რესპუბლიკის“ ვილჰელმის ერთგულ სარდალზე — ჰინდენბურგზე გადაცემა, რომელიც ვილჰელმის რეკომენდაციით არის არჩეული და მისივე დირექტივებით და ხელმძღვანელობით ეწევა ამ დიდ „მოვალეობას“. ასევე მოიქცენ სოც.-დემ. უნგრეთში, ბულგარეთში და ყველგან, სადაც კი მიეცათ მათ ამის საშუალება. მათი დახმარებით

ბურჟუაზიამ ყველგან მოახერხა გამარჯვებული რევოლიუციის დამარცხება.

რუსეთის სოც.-რეფორმისტების ესერ-მენშევიკებიც, რომლებიც დაეპატრონენ ძალაუფლებას თებერვლის რევოლიუციის დროს, არ უღალატებდენ თავის ისტორიულ მისიას, რომ აქ უფრო გამოცდილი და დარაზმული არ შეხვედროდა მუშათა კლასი ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. მათ უკვე გამოიყვანეს კიდეც ასპარეზზე კორნილოვები, რომ დროზე არ განედევნათ ისინი რევოლიუციის „ხელმძღვანელობიდან“. არ ჩამოერთმიათ ძალაუფლება მუშებსა და გლეხებს.

სოციალ-მოღალატეების დახმარებით და თანამშრომლობით მიღებულ გამარჯვებებით გათამამებული რეაქცია, უკანასკნელ ხანებში, გაძლიერებულ შეტევაზე არის გადასული, გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტებზე. იქაც კი, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოუხერხებიათ მათ ძალაუფლების დაპყრობა, მდგომარეობის ბატონ-პატრონად სთვლიან თავს, ოფიციალური პოლიტიკის ხელმძღვანელის როლში გამოდიან და თავის კარნახის ქვეშ აყენებენ პარლამენტის მიერ არჩეულ მთავრობას.

რეაქციის მებრძოლი პოლიტიკური ორგანიზაციები —ფაშისტური კავშირები, რომლებიც აშკარა სამხედრო ორგანიზაციის სახეს ატარებენ, ლეგალურ ორგანიზაციებად არის გამოცხადებული, რომელთა უპასუხისმგებლო მოქმედებაში ვერ ჩაერევა რესპუბლიკის დამცველი ორგანოები. ისინი განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობენ, მათზე არ ვრცელდება რესპუბლიკის კონსტიტუციონური წესები და კანონები.

სოც.-დემ. ლიდერები ძალიან ახლო კავშირში არიან ამ შოვინისტურ და ფულით დაქირავებულ დეგენერატ ელემენტებისაგან შემდგარ ფაშისტების რეაქციონურ ორგანიზაციებთან. ისინი ყოველთვის ერთად გამოდიან კომუნისტების საწინააღმდეგო ბრძოლებში, მათ ყოველთვის განაწილებული აქვთ როლები მუშათა კლასის წინააღმდეგ შეტევის დაწყებისას.

ორ ფრონტზე მომუშავე ბურჟუაზიის ეს ორი ორგანიზაცია, როგორც სჩანს, იმდენად დაახლოვებულან ერთმანეთთან იდეურად, რომ „პატივცემული“ რეფორმისტი ბერნარ-შოუ, ფრიდრიხ ადლერთან გამართულ პოლიტიკურ მიწერ-მოწერაში, ქებას ასხამს ფაშისტებს. ის ისე შორს მიდის მათ მოწონებაში, რომ ფაშიზმის კლასიკური სახელმწიფოს, იტალიის დიქტატურის მუსოლინის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი ზოგიერთი ზომები მიაჩნდა სოციალიზმისაკენ სვლათ.

ამაზე უფრო შორს წასვლა რეაქციასთან დაახლოვებაში და თანამშრომლობაში, ამაზე უფრო გაბედული სიტყვის თქმა რეაქციის სასარგებლოდ აღარ შეიძლება და არც არავის შეუძლია მოითხოვოს.

წინა წლებში, როდესაც კიდევ თვალთმაქცობდენ ისინი და ატარებდენ სოციალიზმის ნიღაბს,—არ ამბობდენ ამას, არ აქებდენ ასე ფაშისტებს, მაგრამ დღეს, როდესაც გამომჟღავნებულია მათი „მოღვაწეობა“, როდესაც ყველამ იცის მათი მოღალატეობა და გამცემლობა, უკვე შეუძლებელია და არც აქვს არავითარი აზრი და მიზანი ნიღაბის კვლავ ტარებას და ამიტომ გამოდიან ასე აშკარად, ოფიციალურ კრებებზე და ყრილობებზე, კაპიტალისტური სისტემის და ბურჟუაზიის დასაცავად, კლასთა თანამშრომლობის იდეის ლოზუნგის ქვეშ.

მიუხედავად სოციალ-რეფორმისტების ღალატისა და ბურჟუაზიის **პოლიტიკური** ორგანიზაციების გაბატონებული მდგომარეობისა, მიუხედავად მუშათა კლასისათვის შექმნილ ისეთი სასტიკი რეჟიმისა, როდესაც რევოლიუციონური ორგანიზაციები კანონ გარეშე არის გამოცხადებული და კომპარტიის წევრობისათვის უმაღლესი სასჯელია დაკანონებული,—რევოლიუციონური მოძრაობა მაინც იზრდება და აწარმოებს თავდაცვითი ბრძოლებს.

უკანასკნელ თვეებში მომხდარი ამბები: ვენის პროლეტარიატის საპროტესტო გამოსვლები, წითელ ფრონტელების გრანდიოზული დემონსტრაციები ბერლინში, საფრანგეთის მუშათა კლასის ანტიფაშისტური დემონსტრაცია ამერიკის ფაშისტური ლეგიონის აღლუმის დროს პარიზში, ქრონიკული მასიური გაფიცვები ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებიც შეიარაღებულ შეტაკებამდე მიდის ხშირ შემთხვევებში,—გვიჩვენებს, რომ კლასთა წინააღმდეგობა უაღრესადაა განვითარებული, რომ ეს წინააღმდეგობა აქტიური ბრძოლის ფორმებშია გადატანილი და ამ ბრძოლის ფრონტი საერთაშორისო მასშტაბით არის გაერთიანებული.

სამი კვირის წინედ ჩატარებული მუნიციპალური არჩევნები გერმანიაში და პოლონეთში, სადაც სარეკორდო გამარჯვება ხვდა წილად კომუნისტებს, მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთში გაუქმებულად იყო გამოცხადებული მათი საარჩევნო სიები, კიდევ უფრო ამტკიცებს იმას, რომ მასების სტიქიური რევოლიუციონური განწყობილება დგება კომპარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, ყალიბდება ორგანიზაციულ ფორმებში და აქტიურად გამოდის თავისი უფლებების დასაცავად.

დღეს, როდესაც კონსტიტუციონალიზმის და პარლამენტარიზმის ძველი პატრიოტი რეაქციონური ბურჟუაზია თვით არღვევს და ებრძვის პარლამენტარიზმის იდეას და აშკარა ბრძოლებში იწვევს მუშათა კლასს, სადაც კი აქვს მას გამარჯვების შანსები, არ შეიძლება, რომ არ გაიზარდოს მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნება, არ გამოფხიზლდენ რეფორმისტ-ბელადების გავლენის ქვეშ მყოფი მუშათა მასები და არ განხორციელდეს მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნის იდეა გაერთიანებული რეაქციის შემოტევის დასაძლევად.

ამის დამამტკიცებელი ერთი დიდი ფაქტია აგრეთვე ამ დღეებში ჩატარებული ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაული, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა ორგანიზაციების ფართო წარმომადგენლებმა. მიუხედავად იმისა, რომ რეაქციონური მთავრობები არ აძლევდენ მათ საშუალებას საბჭოთა კავშირში გამომგზავრებისას და სოციალ-გამყიდველებიც არ ერიდებოდენ სხვადასხვა დაბრკოლებების შექმნას, დაშინებას და მუქარას, მაინც მოახერხეს საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა 957 კ., რომლებიც წარმოადგენენ 43 ქვეყნის მუშათა ორგანიზაციებს და საბჭოთა კავშირის მშრომლებთან ერთად მიიღეს მონაწილეობა კაცობრიობის ისტორიაში პროლეტარიატის უდიდესი გამარჯვების დღესასწაულში.

საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესმა, რომელიც შესდგებოდა ოქტომბრის ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციებისაგან, კიდევ უფრო გარკვეულად სთქვა, რომ ისინი უკვე ანხორციელებენ მუშათა კლასის მთლიანობას, მოღალატე ბელადების გარეშე, რომ ისინი არა თუ დაიცავენ საბჭოთა კავშირს იმპერიალისტების თავდასხმისაგან, არამედ რევოლიუციონური გზით გაარღვევენ საბჭოთა კავშირის კაპიტალისტური გარემოცვის რკალს, რომ განახორციელონ ოქტომბრის რევოლიუციის იდეა— საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუცია და სოციალიზმის გამარჯვება. ჩამოსული დელეგატები, რევოლიუციონური გამბედაობით აცხადებდენ, რომ მუშაობენ მსოფლიო ოქტომბრის მოსამზადებლად და მას მიიყვანებენ საბოლოო გამარჯვებამდე.

რევოლიუციონური განწყობილების ასეთი სწრაფი ზრდა, ორგანიზაციული დარაზმვა და მუშათა მასების აქტიური გამოსვლები ყველგან, იმას ადასტურებს, რომ არც ისე შორსაა საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის დაწყების და გამარჯვების ისტორიული დღე, როგორც ეს უნდათ მოაჩვენონ მასებს სოც.-გამყიდველების ბელადებმა პანიკისა და უიმედობის შესაქმნელად.

ც. ჭეიშვილი.

# საერთაშორისო მდგომარეობა და მოსალოდნელი ომი

ოქტომბრის რევოლიუციას დღიდან მისი გამარჯვებისა, როგორც მოსალოდნელი იყო, უამრავი მტერი აღმოუჩნდა.

საკმარისია გავიხსენოთ მარტო იმ ჯალათების თარეში, როგორიც იყვნენ: კორნილოვი, ალექსეევი, ვრანგელი, ღენიკინი და სხვები...

ვინ იყვნენ და რა უნდოდა ამ თეთრ გენერლებს?— მათი სურვილი იყო დაბადებისთანავე დაეხრჩოთ 25 ოქტომბერი და მისი პირმშო შვილი...

ვინ უწყობდა ხელს ყველა ამ გამცემლებს?—დასავლეთ სახელმწიფოების ყველა იმპერიალისტები, და მათ შორის უმთავრესათ ინგლისი, რომელიც ასთე გაბატონებულა და გაფართოვებულა კოლონიებში...

ვინ გადაიტანა თავის კისერზე ოქტომბრის რევოლიუციის მთელი სიმძიმე? რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც მჭიდროთ აკავშირებდა პროლეტარიატს მუშებთან, გლეხებთან და ინტელიგენციასთან!.. ვის ხვდა წილათ გამარჯვება სამოქალაქო ომში?—რუსეთის მუშათა კლასს, რომელმაც საკუთარი სისხლის გაღებით გადაარჩინა ოქტომბრის მონაპოვარი შავი რეაქციის კლანჭებისაგან...დამარცხდა იმპერიალისტები სამოქალაქო ომში, რომლებმაც იარაღით ბრძოლის ტაქტიკა შესცვალეს ეკონომიური გარემოცვის ტაქტიკაზე. მაგრამ აქაც დაუძლეველი აღმოჩნდა რუსეთის პროლეტარიატი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ასე მოახსენა თავის მოსისხლე იმპერიალისტებს: „არ გვაძლევთ თქვენს დამზადებულს, არ მოგცემთ ჩვენს დასამზადებელს“-ო, და თავის საკუთარი ძალით შეუდგა ქვეყნის აღმშენებლობას!..

ვის ვინ უფრო დასჭირდა?

უეჭველია იმპერიალისტურ სახელმწიფოებს, რომლებიც განიცდიან ნედლი მასალის უქონლობას, და რაც რუსეთს ბლომად მოეძებნება, ამიტომ იყო, რომ თითქოს გადმოვიდნენ დათმობაზე და იცვნეს საბჭოთა ხელისუფლება დედამიწის ერთ მეექვსედზე. მაგრამ აქაც მოტყუვდნენ, მწარედ მოტყუვდნენ, რადგან მათ ეგონათ საბჭოთა ხელისუფლებას, ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოიყვანს სოციალისტურ სისტემიდან და თავისთავად დააყენებს ბურჟუაზიულ გზის მიმართულებით; რადგან საბჭ. ხელისუფლებამ საშუალება მისცა კერძო კაპიტალისტებს ხელში ჩაიგდონ ხალხის სიმდიდრე... ეს ასე არ მოხდა:..

ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ არ გაამაგრა მათი სასურველი კერძო კაპიტალისტური წარმოება, რაც, მათის ფიქრით, კონკურენციას გაუწევდა და დაამარცხებდა მას, რაც იმავე დროს სოციალიზმის დროებით დამარცხებაც იქნებოდა, რადგანაც იგი გამოაცლიდა საძირკველს სოციალისტურ აღმშენებლობას...

მაშ როგორ უნდა მოიქცნენ ეს ფაბრიკა-ქარხნების მეპატრონე იმპერიალისტები, რომლებიც სათავეში ჩადგომიან დასავლეთ სახელმწიფოების მართველობას, და რომლებსაც ასე საშინლად ესაჭიროება თავისუფალი ბაზარი მათი დაგროვილი საქონლის გასასაღებლად?..

მათ სურთ თავისუფალი ბაზარი და ნედლი მასალა და აქ კი დედამიწის ერთ მეექვსედზე გაჭიმული ვებერთელა რუსეთი მათ არ აძლევს არც ერთსა და არც მეორეს. ის თავის საკუთარი ძალით აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას და ბრძოლას უცახდებს იმპერიალისტებს.

რა უნდა უყონ ასეთ ჯიუტს, როგორიც არის საბჭოთა წყობილება?..

მათ დარჩათ კიდევ ერთი გამოსავალი გზა: პეკინში და შანხაიში საბჭ. ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმა და საკონსულოების გაჩხრეკა; ჟენევის ეკონომიური კონფერენცია და იქ იმის აღიარება, რომ საბჭოთა ეკონომიური სისტემის არსებობა დაუშვებელია თანამედროვე სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ამითაც ვერაფერს გახდენ. მაშ რა უნდა ქნან? უნდა ალექსანდრე მაკედონელის ტაქტიკას დაადგენ. მათ ხმლით უნდა გადასჭრან გორდიას კვანძი და ჩემბერლენიც ამ გზას დაადგა; ამიტომ მოახდინა მან საბჭ. წარმომადგენლობის დარბევა ლონდონში, დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ამხ. ვოიკოვის მოკვლა ვარშავაში და ბალტიის წვრილი სახელმწიფოების გაერთიანება საბჭოთა წინააღმდეგ. ამას მიუმატეთ ინგლის-საფრანგეთის ცდა გერმანიის გადაბირებისათვის, ახალი სამხედრო ტეხნიკის გაძლიერება, ეხლანდელი საფრანგეთის აყაყანება საბჭ. ელჩის წინააღმდეგ... გაიხსენეთ ყოველი ეს და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ იმპერიალისტური სამყარო ინგლისის მეთაურობით ხმლით ეპირება ჩვენთან გასწორებას.

ჩვენ არ გვინდა ომი. თუ ასეთი ძალათ მოგვახვიენ თავს, საბჭოთა მშრომელი ხალხები შესძლებენ თავდაცვას. ეს შესძლო რუსეთის პროლეტარიატმა მაშინ, როდესაც ოქტომბრის რევოლიუცია წარმოიშვა გაპარტახებულ და ეკონომიურად გაღატაკებულ რუსეთში...

მან შესძლო ოქტომბრის მონაპოვარის დაცვა მაშინ, როდესაც ის გარს შემორტყმული იყო ათასგვარ კონტრრევოლიუციონური შემოტევებით და მას გარდა რევოლიუციონური აღტყინების მეტი არაფერი გააჩნდა.

დღეს ჩვენ ყველაფერი გვაქვს. დღეს ისტორიაც ჩვენს მხარეზეა. მისი კანონი ასეთია: ახალმა ძველი უნდა შესცვალოს.

ჩვენ გავიმარჯვებთ და ძველ დაბერებულ სამყაროში სოციალიზმის დროშას ავაფრიალებთ.

**ლ. რევიშვილი.**

# ნავთლუღის საიდუმლო სტამბა

ამიერ - კავკასიის ქალაქებში და კერძოთ თბილისში, 1905 წლის რევოლიუციის ისეთი განძეულობა მოიპოება, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, მაგრამ მატერიალური უსახსრობისა, თუ უყურადღებობის გამო, ასეთი რევოლიუციონურ-ისტორიული მნიშვნელობის ნაშთები თითქმს სრულად მივიწყებული რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ საქ. რევოლიუციონურ მუზეუმში ინახება მათ შესახებ მხოლოდ ესა თუ ის ცნობა. რაც შეეხება იმათ სრულიად აღდგენას, ამაზე ჯერ არავის უფიქრია.

ამ წერილში მე მინდა შევეხო ნავთლუღის საიდუმლო სტამბის აღდგენის სქმეს და მოვაგონო ამხანაგებს მის შესახებ.

ნავთლუღის საიდუმლო სტამბა დიდ სამსახურს უწევდა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასს, რადგან ამ სტამბაში იბეჭდებოდა ქართული, რუსული და სომხური რევოლიუციონური ჟურნალები, ბროშიურები და ათი-ათასობით პროკლამაციები, რომლის საშუალებითაც მოწინავე მუშები ორგანიზაციულათ რაზმავდენ რევოლიუციონურ კადრს და გზას უკაფავდენ მუშათა მასების ბრძოლას თვითმპყრობელობის რეჟიმის წინააღმდეგ.

ნავთლუღის საიდუმლო სტამბა მოეწყო 1902 წელში, რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) კავკასიის კავშირის მიერ და ამ სტამბის ჟანდარმების ხელში ჩავარდნის დრომდე, 1907 წ.), მან ბევრი რამ გააკეთა რევოლიუციისათვის. დღეს ამ სტამბის მხოლოდ გეგმა ინახება საქ. რევოლიუციონურ მუზეუმში, და აგრეთვე ამხ. დ. როსტომაშვილის მიერ შედგენილი დაწვრილებითი ცნობები, თუ მოიპოვება, თორემ მეტი არაფერი. მაგრამ მარტო მისი გეგმა საკმაო არ არის. საჭიროა ამ სტამბის სრულ აღდგენისათვისაც იქნეს გადადგმული სათანადო ნაბიჯები, თუ გვინდა, რომ მომავალ თაობას შეუნახოთ ამ რევოლიუციონური მოძრაობის ისტორიული

მნიშვნელობის პატარა, მაგრამ თვალსაჩინო საგანძური იმ სახით და მოწყობილობით, როგორც ის იყო მისი მუშაობის პირველ ხანებში.

ნავთლუღის სტამბის გარდა ბაქოში ბოლშევიკურ ცეკას ჰქონდა კარგა მოზრდილი სტამბა, რომლის საბეჭდი მანქანა და სხვა ნაწილები გადატანილ იქნა პერტროგრადში 1905 წლის მიწურულში ამხ. აბელ ენუქიძის და ვ. სტურუას მიერ და დადგმულ იქნა ბოლშევიკების ლეგალურ სტამბა „დელო“-ში — ფონტანკაზე. ასე, რომ ბაქოს სტამბის არავითარი გეგმა, რამდენადაც მახსოვს, არ არის შენახული, რომ მისი აღდგენა შესაძლებელი შეიქნეს.

ნავთლუღის საიდუმლო სტამბის სრული აღდგენა კი სულ ადვილი საქმეა, თუ ამას ინიციატორები გამოუჩნდება, მხოლოდ საჭიროა ამისათვის გამოინახოს საჭირო თანხა, დაახლოვებით 7000—8000 ათასი მანეთი. ეს სტამბა მოთავსებული იყო ყოფ. არამიანცის საავადმყოფოს უკან, ეხლა ეს ქუჩა იწოდება დოესის ქუჩათ, სახლის ნომერი 2-ი, სადაც ერთ პატარა ქოხში მოთავსებულია ამხ. დ. როსტომაშვილი, (სახლის პატრონი აშენების დროს), სადაც საიდუმლო სტამბა იყო მოთავსებული. სტამბისათვის ამოთხრილი მიწური, ეხლა წარმოადგენს ჩაღრმავებულ ადგილს და ბალახითაა დაფარული. შენობა კი აღმოჩენის დროს სრულებით იქნა დანგრეული მესანგრე ბატალიონის მიერ 1907 წელში.

ეხლა ამ მიწის ნაკვეთს ამხ. როსტომაშვილის მიერ

შემოვლებული აქვს გარეშემო მაღალი ფიცრული ღ... და ეზოში გაშენებულია ბაღი.

თუ გვინდა, რომ ეს რევოლიუციის ძვირფასი ძეგლი არ იქნეს სრულიად მივიწყებული, საჭიროა მისი დაცვა და აღდგენა ძველი გეგმით და იმ ჭებით, რომლების საშუალებითაც სტამბაში შესავალი გზები ჰქონდა მას. ასეთი სრულიათ აღდგენილი სტამბა დღეს მოსკოვშიც არსებობს ლესნოი ქუჩაზე, სახლი № 55, სადაც 1905 წლის რევოლიუციის დროს მრავალი პროკლამაციები და ჟურნალი „მუშა“ იბეჭდებოდა მოსკოვის ბოლშევიკების კომიტეტის მიერ. ის სრულიათ იმ ფარგლებში აღადგინა მოსკოვის რევოლიუციის მუზეუმმა, როგორშაც თავიდანვე იყო. მას აუარებელ ექსკურსანტები ათვალიერებენ და საზღვარგარეთიდან ჩამოსული უცხოეთის მუშათა დელეგატებიც ნახულობენ.

ამიტომ საჭიროა, რათა საქართველოშიაც აღდგენილი იქნეს ნავთლუღის საიდუმლო სტამბა. ამას ის მნიშვნელობაც ექნება, რომ ჩვენშიაც ხშირად მოდიან ევროპის მუშათა დელეგაციები, რომლებიც დაათვალიერებენ რევოლიუციის ისეთ თვალსაჩინო ადგილს, როგორიც იყო ნავთლუღის საიდუმლო სტამბა.

ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე; საფუძველი უნდა ჩაეყაროს ამ საქმის მოგვარების საკითხს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ინიციატივა, რაც თავის თავზე უნდა მიიღოს საქართველოს სარევოლიუციო მუზეუმმა.

გვჯერა, რომ ეს საკითხი არ დარჩება უყურადღებოდ.

**უ. ჯაში.**

# განვლილი დრო

10 წელი პროლეტარული რევოლიუციისა—ეს რამოდენიმე საუკუნეთ გვეჩვენება. თითქოს აქ ჩვეულებრივ წლებს კი არ განუვლია, არამედ რაღაც გაცილებით მეტს. ეს არცაა ძნელი ასახსნელი.

ფსიქოლოგია გვასწავლის, რომ დრო ხანმოკლე აწმყოში ხანგრძლივია მოგონებაშიო. მერე იყო თუ არა განვლილი დრო ხანმოკლე აწმყოში? რასაკვირველია, იყო და აი რატომ.

რა მიიღო პროლეტარიატმა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომისაგან? მაგრამ ჯერ ისა ვსთქვათ, თუ რა მისცა თვით თებერვლის რევოლიუციამ მუშებსა და გლეხებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არაფერი.

მართლაც, იმპერიალისტური ომი წინანდებურად გრძელდებოდა. იგი ანადგურებდა ქვეყნის დოვლათს და მილიონობით მიქონდა ადამიანთა მსხვერპლი. მემამულეთა მიწების კონფისკაციის შესახებ ხსენებაც კი არ იყო. კლასთა ბრძოლა—ეს ისტორიის მამოძრავებელი მთავარი ღერძი სრულიად მივიწყებულ იქნა, დროებითმა მთავრობამ იგი შესცვალა კლასთა თანამშრომლობით. ეს კი ბურჟუაზიის ბატონობას მოასწავებდა. ამგვარად დროებითი მთავრობა გარდაიქცა რევოლიუციის მუხრუჭებად. ამიტომ იგი ლოღიკურის აუცილებლობით უნდა დანგრეულიყო და მის ნანგრევებზე პროლეტარულ მთავრობას გაემარჯვებია და კლასიური ბატონობის მძლავრი იარაღი—სახელმწიფო მიემართა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც რევოლიუციის განვითარებას ხელს უშლიდა.

და აი, სწორედ აქ იჩინა თავი ლენინის გენიამ. მან ალღო აუღო რევოლიუციონურ სიტუაციას და განაცხადა, რომ ხელისუფლება უნდა პროლეტარიატმა და ღარიბ გლეხობამ აიღოს ხელშიო. ასეც მოხდა. აჯანყდა ძლევამოსილი პროლეტარიატი და მან ღარიბ გლეხობასთან ერთად ხელში ჩაიგდო სახელმწიფოს ძალაუფლება. რა თქმა უნდა, თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია შეებრძოლა პროლეტარიატს. მათ მხარი დაუჭირეს მსოფლიოს ყაჩაღებმა და ამნაირად შეიქმნა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ცხადია, ეს იმ თავითვე ნათელი იყო პროლეტარიატისათვის, მაგრამ მას სწამდა თავისი გამარჯვება, ვინაიდან ეს იყო ლოღიკური აუცილებლობა. მართლაც, რა გმირული ბრძოლა აწარმოვა შედარებით სუსტი ძალის მქონე პროლეტარიატმა — ეს ყველამ კარგათ იცის.

დამთავრდა სამოქალაქო ომი 4 წლის საშინელი ბრძოლის შემდეგ. ამ ბრძოლაში პროლეტარიატი გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ ეს კიდევ არ იყო საკმარისი. აუცილებელი იყო სამეურნეო ფრონტებზედაც გამარჯვება, ვინაიდან გარეშე ძლიერი ეკონომიკისა პოლიტიკური ბატონობა— ეს წყალზე დაწერილი თამასუქი იქნებოდა.

ამიტომაც პროლეტარიატის მებაირაღტრე— კომუნისტური პარტია მთელი თავისი ენერგიით შეუდგა დანგრეული მეურნეობის აღდგენას. ან რა მოხდა? მოხდა ის, რასაც დღეს მტრებიც კი ველარ უარყოფენ.

10 წლის თავზე საბჭოთა კავშირს უდიდესი მიღწევები აქვთ მეურნეობის ყოველ დარგში. საბჭოთა კავშირი დღეს უკვე საკმაოდ დავაჟკაცებულად გამოიყურება. სოციალისტური მეურნეობა ყოველდღე წინ მიდის. დღეს სოციალიზმი თეორეტიული მსჯელობის საგანი კი აღარაა, იგი ჩვენი დროის უახლოესი პრაქტიკული მოთხოვნილებაა.

რა თქმა უნდა, არც ბურჟუაზიას სძინავს. საბჭოთა კავშირი—ეს სიმბოლოა მათი დასამარებისა. ამიტომაცაა, რომ იგი, ვერ ითმენს რა მის არსებობას, ყოველგვარ ღონეს ხმარობს შეუქმნას მას საერთაშორისო გართულებანი და ჩაითრიონ ომში. მაგრამ ამაოდ. საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის პოლიტიკა ცნობილია, და თუ მსოფლიო ყაჩაღები მას მაინც თავზე მოახვევენ ომს, მაშინ ისინი კისერს მოიტეხენ საბჭოთა სიმაგრეზე.

ეხლა, როდესაც გავსცქერით განვლილ დროს, ჩვენს წინაშე ისახება შემდეგი სურათი: პროლეტარიატი იბრძვის სხვადასხვა ფრონტებზე, მას სურს ბევრის გაკეთება ცოტა დროს განმავლობაში.

როდესაც დღეს ვიგონებთ განვლილ დროის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას, როდესაც ჯამს უკეთებთ საბჭოთა კავშირის მიღწევებს, ჩვენ ეს 10 წელი გაცილებით იმაზე მეტად გვეჩვენება, ვიდრე ათი წელი.

**ვ. ხაბანაძე.**

# ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## ორი პერიოდი

ოქტომბრის რევოლიუციამ მთლიანად გაანადგურა ძველი თვითმპყრობელობის ნაშთები და განდევნა პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზიდან წვრილ-ბურჟუაზიული მენშევიკ-ესერ-კადეტების კოალიციონური მთავრობა. თებერვლის რევოლიუციას დაპატრონებული კოალიციონური მთავრობის ჰუმანიურობით გათამამებულ ბურჟუაზიას არ უნდოდა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დაკარგვის უბრძოლველად შერიგება და სამოქალაქო ომი გაუმართა გამარჯვებულ მუშათა კლასს.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის რეაქცია, რა თქმა უნდა, მარტო არ იყო, მას დიდ ფინანსიურ, ტეხნიკურ და ხშირ შემთხვევაში ცოცხალ ძალითაც დახმარებას უწევდა ევროპის ბურჟუაზია. ვრანგელი, დენიკინი, კოლჩაკი და სხვადასხვა კონტრ-რევოლიუციონური გენერლების მთელი ხროვა მხოლოდ ევროპის ბურჟუაზიის დახმარებით და იმედით აწარმოებდა ბრძოლას რევოლიუციის წინააღმდეგ.

ევროპის ბურჟუაზიისათვის ოქტომბრის რევოლიუცია, როგორც სოციალისტური რევოლიუციის ატრიბუტების მატარებელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა რევოლიუციონური პროლეტარიატი, მიუღებელი იყო და არ შეეძლო, რომ ბრძოლის ხაზი არ აელო მის წინააღმდეგ ევროპის ბურჟუაზიის ხელმძღვანელობით და ინიციატივით დაწყებული სამოქალაქო ომი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ვიცით, კატასტროფით დამთავრდა, მათ ვერ მოახერხეს რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონური სიძლიერის დაძლევა, რომელსაც დახმარებას უწევდა საერთაშორისო მუშათა კლასი დიდი მორალურ თანაგრძნობით და აქტიური ჩარევით.

საერთაშორისო რეაქციისა და რუსეთის კონტრ-რევოლიუციის დახმარება იმდენათ დიდი იყო წარსულ სამოქალაქო ომში, რომ ამ ომში დამარცხების შემდეგ იძულებული გახდენ სრულიად აელოთ ხელი ამ იდეაზე და საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება მიენდოთ საშინაო ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისებისათვის.

ეს პერსპექტივა ხომ სრულიად არ გამოდგა. განვლილი შვიდი წლის მანძილზე მისი განხორციელების უბრალო სიმპტომებიც არ სჩანს.

სამოქალაქო ომის და ინტერვენციების დასრულების შემდეგ, გამარჯვებული მუშათა კლასი, მიუხედავად სამოქალაქო ომით დატოვებულ ეკონომიურ კრიზისისა, მაინც აჩერხებს რევოლიუციის მონაპოვართა განვითარებას.

თუ საბჭოთა კავშირი ასე იზრდება ეკონომიურად და მტკიცდება პოლიტიკურად, ბურჟუაზიული ქვეყნები კიდევ უფრო სუსტდებიან, შეუძლებელი ხდება კაპიტალიზმის განკურნება და ეს აიძულებს ევროპის რეაქციონერებს, რომ კვლავ დაუბრუნდენ ძველ კურს, ძველ მეთოდს ინტერვენციის და სამოქალაქო ომის დაწყებას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ ეს ინტერვენცია, ინგლისის შუბლმაგართა ახალი თეორიით, უნდა დაიწყოს რეაქციის გაერთიანებული ფრონტით. ამ მიმართულებით მათ ნიადაგი ნაწილობრივ უკვე მომზადებული აქვთ და ეძებენ საბაბს, მიზეზებს, რომ გადადგან აქტიური ნაბიჯები. ამით აიხსნება ის პროვოკაციები, რომლებსაც სისტემატიურათ აწყობენ ისინი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ნაკლები შანსები აქვთ მათი ამ გეგმის განსახორციელებლად. დღეს, როდესაც ყველა ქვეყნების მუშათა კლასის წარმომადგენლებმა ინახულეს საბჭოთა კავშირი და სთქვეს, რომ საბჭოთა კავშირში განხორციელებულია მუშების და გლეხების დიქტატურა, რომ ის ხელმძღვანელობს საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს და აშენებს სოციალიზმს, ალარ შეიძლება მათი სტიქიურად ჩაბმა კაპიტალისტურ ომში. მით უმეტეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საერთაშორიო მუშათა კლასმა იცის, რომ საბჭოთა კავშირში კეთდება არა მარტო საბჭოთა კავშირის მუშების და გლეხების საქმე, არამედ საერთაშორისო რევოლიუციის და სოციალიზმის საქმე და ამიტომ ისეც ეხმარება მას ამ საქმეში და იცავს საბჭოთა კავშირს —გარეშე რეაქციისაგან.

**კოზაზიძე.**

———:———

### დ. მარტვილი

30 ოქტომბერს შესდგა მარტვილის თემის ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა დიდი უმრავლესობა და დაინტერესებული უპარტიო მოქალაქენიც. მოხსენება გააკეთა ამხ. პ. შენგელიამ, რომელმაც დეტალურათ გაარჩია საერთაშორისო და ქართული მენშევიზმის უკანასკნელი ხანების „საქმიანობა“. შემდეგ გააცნო დამსწრე საზოგადოებას, ყოფ. ახ. მარქს. ცენტრალური ბიუროს მუშაობის მიზანი და ხასიათი და ჩატარებული მუშაობით უკვე მიღებული შედეგები.

მოხსენების გარშემო კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: საბჭოთა ხელისუფლების მუშაობით და მიღწევებით 7 წლის განმავლობაში ყველა დარწმუნდა, რომ საქართველოს ეკონომიური განვითარების და ეროვნული დამოკიდებულების და სუვერენების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა სისტემის პირობებში; მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა და მათი საბოლოო მიზნებისთვის ბრძოლა ისტორიულად ეკისრება კომუნისტური პარტიას, რასაც ის რევოლიუციონური ურყევი ნებისყოფით და სიმტკიცით ასრულებს კიდეც. ჩვენ, მარტვიბის თემის ყოფ. ახალ. მარქსისტები, მთელი ჩვენის ენერგიით გვერდში უდგებით კომუნისტურ ახალგაზრდობას და მათთან ერთად თავდაუზოგველ ბრძოლას ვაწარმოებთ იმპერიალისტების და სოციალ-მოღალატეთა წინააღმდეგ.

ვგმობთ რა ჩვენს წარსულ შეცდომებს სრულიად ვიზიარებთ ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტ. ბიუროს ხაზს, შეგნებულათ ვდგებით კომუნისტური პარტიის სახელოვანი დროშის ქვეშ და გაბედულად ვიბრძოლებთ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად და საერთაშორისო რევოლიუციის გასამარჯვებლად.

**ან. ბ—ვა.**

———:———

### ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტების განცხადება

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, საქარ. ახალ. „მარქსისტთა“ ორგანიზაციის ყოფილი წევრები ვაცხადებთ, რომ ჩვენი არალეგალური საქმიანობა მიმართული იყო საქ. მუშების და გლეხების ინტერესების წინააღმდეგ და ამით ჩვენ, ჩვენდა უნებურად, ხელს უწყობდით ჟორდანია-რამიშვილის პროვოკაციულ დირექტივების განხორციელებას.

დავრწმუნდით რა ჩვენი საქმიანობის სიყალბეში და ყოფ. ახ. მარქ. შორის მომუშავე ცენტრალურ ბიუროს ხაზის სისწორეში, საჭიროდ ვთვლით დავდგეთ მათ პლატფორმაზე და აქტიურად ვიმუშაოთ იმ გამანადგურებელ საქმიანობის ლიკვიდაციისათვის, რომელსაც მიყავს ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი დაღუპვისაკენ. დღეის შემდეგ ჩვენ გვინდა დავდგეთ მუშებისა და გლეხების ინტერესების და ოქტომბრის მონაპოვართა დამცველთა რიგებში და ერთგულად ვემსახუროთ ამ საქმეს.

ძირს მენშევიკური პროვოკაცია!

ვაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს!

1) შანიძე ბესარიონ, 2) თელია ალექსანდრე, 3) კეკელიძე ისიდორე, 4 შარაშიძე ეპიფანე.

# ელექტროფიკაცია

**საბჭოთა ხელისუფლება+ელექტროფიკაცია=სოციალიზმი.**

**ლენინი.**

ლოზუნგი ელექტროფიკაციის შესახებ ჯერ კიდევ 1919 წ. გადმოისროლა ლენინმა. 1920 წ. დაარსდა რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისია, რომელიც ცნობილია შემოკლებით შემდეგი სახელწოდებით: „Гоэлро". აქედან ჩაეყარა საფუძველი გეგმიან მუშაობას ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში. მოგვყავს ზოგიერთი ცნობები ელსადგურების **სიმძლავრის ზრდის** შესახებ რუსეთში (ცნობები მოცემულია საქარხნო-საფაბრიკო ელსადგურების გამოკლებით მათზე ძველი ცნობების უქონლობის გამო).

| | | |
|---|---|---|
| 1900 წელი | 57 | ათასი კილოუატი |
| 1910 წელი | 196 | ათასი კილოუატი |
| 1920 წელი | 420 | ათასი კილოუატი |
| 1926 წელი | 690 | ათასი [illegible] |
| 1931 წელი | 2.600 | ათასი კილოუატი |
| 1941 წელი | 8.000 | ათასი კილოუატი |

ომამდე 10 წლის განმავლობაში 1900—1910 წ. ელსადგურები ძალოვნებით გაიზარდა ერთი-სამათ, შემდეგი ათი წლის განმავლობაში კი 1910—1920-მდე გაიზარდა ერთი-ორათ. 1920 წლიდან, როდესაც ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმე გახდა უმთავრეს საკითხათ სოციალისტურ აღმშენებლობაში, ჩვენ 6 წლის განმავლობაში უკვე მივიღეთ ელსადგურების ძალოვნებით თითქმის ორჯერ გადიდება. 1926 წელში საერთო სარგებლობის ელსადგურების ძალოვნება აღწევს 690 ათას კილოუატს. ახლო მომავალი გეგმის მიხედვით ჩვენ გვაძლევს დიდი სისწრაფით ზრდას, მაგ. 1931 წელში გათვალისწინებულია 2.600 ათასი კილოუატი, ხოლო 15 წლის შემდეგ 1941 წელში 8 მილიონი კილოუატი. ამგვარათ ჩვენ გვექნება შედარებით 1920 წელთან ზრდა—1931 წელში 6 ნახევარჯერ, ხოლო 1941 წელში 20-ჯერ.

თუ ჩვენ დაუმატებთ საქარხნო-საფაბრიკო ელსადგურებს ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

| | | |
|---|---|---|
| 1926 წ. | 1.440 | ათასი კილოუატი |
| 1931 წ. | 3.600 | ათასი კილოაუტი |
| 1941 წ. | 10.000 | ათასი კილოუატი |

ელექტროფიკაციაზე გაწეული და გაღებული თანხები იძლევა შემდეგ სურათს: 1919—20 წ.—1926 წლამდე გაღებულია მარტო სახელმწიფო ბიუჯეტით 200 მილ. მან., ხოლო 1926—27 წელში ელექტროფიკაციის მთელი, სამუშაოების ღირებულება 177 მილ. მან. აღემატება, აქედან 98 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტით არის გაღებული. 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმით ელექტროფიკაციაზე გაღებული თანხები წლიდან წლამდე იზრდება და 1930-31 წელში აღწევს 334 მილ. მან., სულ ხუთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 1.339 მილ. მან დაბანდება.

ელექტროფიკაციის ასეთი ტემპით ზრდა არ იცის არც ერთ ევროპის სახელმწიფომ; ეს აიხსნება ერთი იმ გარემოებით, რომ რუსეთი მეტის-მეტათ ჩამორჩენილია ამ დარგში და მეორე იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით მოექცა ამ საკითხს იმ მიზნით. რომ საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკა გარდაქმნას სრულიად ახალ საფუძველზე თუ რამდენათ ჩამორჩენილია საბჭოთა კავშირი ელექტროფიკაციის საქმეში, აშკარად სჩანს შემდეგი ციფრებიდან: 1925 წელში საერთო სარგებლობის ელსადგურების ძალოვნება იყო: გერმანიაში—3.000 ათ. კილოუატი; ამერიკაში—20.000 კილ.; შვეიცარიაში—1.000 კილ.; საბჭოთა კავშირში—631 კილოუატი.

ამნაირად საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილია ელსადგურების ძალოვნებით, ამერიკასთან შედარებით 30-ჯერ, ხოლო შვეიცარიასთან თითქმის ორჯერ; თუ ავიღებთ წლიურ გამომუშავებას ერთ სულზე ჩვენ მივიღებთ, რომ საბჭოთა კავშირი შვეიცარიასთან შედარებით ჩამორჩენილია 40-ჯერ; შვეიცარიაში სულზე მოდის 1.000 კილ. საათი წელიწადში, ხოლო საბჭოთა კავშირში 25 კილ. საათი.

რა მდგომარეობაშია ელექტროფიკაციის საქმე საქართველოში?

სანამ ამ დარგში გაკეთებულ საქმის დახასიათებას შეუდგებოდეთ მეტი არ იქნება გამოვარკვიოთ, თუ რა ბუნებრივ შესაძლებლობას იძლევა საქართველო.

ცნობილია, რომ საქართველო ელექტროფიკაციის განვითარების მხრივ დიდი შესაძლებლობის ქვეყანას წარმოადგენს. ჩვენში მრავალი მთის მდინარეებია, რომლებშიდაც დაგროვილია უდიდესი წყლის ენერგია, ე. წ. „თეთრი ნახშირი". ფრანგი მეცნიერის ბაბეს აზრით, საქართველოში მდინარეების ძალოვნება 2,4 მილიონ ცხ. ძალას აღემატება. საქართველოს საჭიროებას იგი განსაზღვრავს 375 ათასი ცხენის ცალით. ამ ანგარიშით გამოდის, რომ ბუნებრივი რესურსები 6-ჯერ აღემატება იმ საჭიროებებს, რომელნიც საქართველოში იქნება.

იგივე ბაბეს ანგარიშით სომხეთში მდინარეებს ძალოვნება უდრის 900 ათ. ცხენის ძალას, ხოლო აზერბეიჯანში—700 ათ. ცხენის ძალას. ამნაირათ საქართველო თავისი „თეთრი ნახშირით" 3-ჯერ სჯობნის სომხეთს, ხოლო აზერბეიჯანს — 4-ჯერ.

**ასეთია საქართველოს** ბუნებრივი რესურსები.

ეხლა გავსინჯოთ, რომ როგორია მათი გამოყენების საქმე ფაქტიურად და როგორი პერსპექტივები იშლება ჩვენ თვალწინ ახლო მომავალში.

ჩვენში „თეთრ ნახშირის" გამოყენების საკითხს არავინ არ აქცევდა ყურადღებას; 22—23 წლამდე საქართველოში ჰიდრო-ელსადგურების ძალოვნება უდრიდა 1.690 ცხ. ძალას, რაც შეადგენს მხოლოდ 13 პროც. ყველა ჰელსადგურების ძალოვნებაში (მთელი ელსადგურების ძალოვნება არ აღემატებოდა 12 ათ. ცხ. ძალას).

საქართველოს გასაბჭოების მეორე წლიდან— 1922 წლიდან—დაიწყო ჩვენში ელექტრო-აღმშენებლობა, დაიწყო მძლავრი ჰიდრო-ელსადგურის შენება ზემოავჭალაში—„ზაჰესი"—36 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით.

„ზაჰესი" წელს უკვე ამუშავდა 18 ათ. ცხ. ძალით, თუ ამას მიუმატებთ აჭარისწყალის და აბაშის ჰიდროსადგურებს, რომელნიც ერთ წელში დამთავრდება, ჩვენ მივიღებთ 26.370 ცხ. ძალას, აქედან სჩანს, რომ „თეთრი ნახშირის" გამოყენება უკვე გაიზარდა 16-ჯერ (26.370 ცხ. ძალა, ნაცვლად 1.690 ცხ. ძალისა).

ჩამოვთვალოთ ყველა ჰიდრო-ელსადგურები, რომელნიც აგებულ იქნა გასაბჭოების შემდეგ საქართველოში და რომელთაც აგება დაწყებულია ან ახლო მომავალში დაიწყება.

| სადგურის დასახელება | ძალოვანება ცხ. ძ. | | საერთო ღირებულ. ათას მან. | | როდის დასრულდა შენება |
|---|---|---|---|---|---|
| | პირველ რიგში | დასრულებულ. | პირველ რიგის | სულ დასრულდა | |
| 1. ზაჰესი | 18.000 | 36.000 | 16.000 | 18.165 | 26—27 წ. |
| 2. რიონჰესი | 30.000 | 60.000 | 13.000 | 15.000 | 30—31 წ. |
| 3. აბაშის სად. | 870 | 2.600 | 1.450 | 2.600 | 27—28 წ. |
| 4. აჭარის-წყლის სადგური | 7.500 | 15.000 | 4.900 | 6,500 | 28—29 წ. |
| 5. ბორჯომის სადგური | 800 | 1.500 | 470 | 600 | 28—29 წ. |
| 6. ოზურგეთის სადგურის | 500 | 750 | 300 | 350 | 31—32 წ. |
| 7. აფხაზეთის სადგური | 750 | 1.500. | 1.100 | 1.200 | 30—31 წ. |
| 8. კახეთის სოფლის სადგურები | 5.000 | 5.000 | 1.500 | 1.500 | 31—32 წ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9. ხონის სად. | 80 | 80 | 50 | 50 | 26—27 წ. |
| 10. ცხინვალის სადგური | 70 | 70 | 60 | 60 | 25—26 |
| 11. ახალციხის სადგური | 150 | 250 | 150 | 210 | 27—28 წ. |
| 12. აბასთუმანის სადგური | 75 | 175 | 150 | 186 | 27—28 წ. |
| 13. ახალქალაქის სადგური | 50 | 170 | 40 | 91 | 27—28 წ. |
| 14. შოვის სად. | 120 | 240 | 60 | 75 | 26-27 წ. |
| 15. ონის სად. | 120 | 240 | 120 | 140 | 27—28 წ. |
| სულ | 64.085 | 123.575 | 39.350 | 46.727 | |

უკვე ამუშავებულია ზაჰესი, ხონის, ცხინვალის და შოვის ჰიდრო-ელსადგურები; მიმდინარე წელში ამუშავდება 5 სადგ.: აბაშის, ახალციხის, აბასთუმნის, ახალქალაქის, ონის ელსადგურები.

ყველა აქ ჩამოთვლილ ჰიდრო-ელსადგურების საერთო ძალოვნება უდრის 123.575 ცხენის ძალას, თუ ამას მოუმატებთ თოფორავანის მძლავრ სადგურს, რომლის ძალოვნება იქნება 100.000 ცხენის ძალა ჩვენ მივიღებთ 223.575 ცხენის ძალას; ამგვარათ უკვე რეალური ხდება 223 ათასი ცხენის ძალის გამოყენება იმ ბუნებრივი რესურსებიდან, რომელსაც იძლევა ჩვენი ქვეყანა. როგორც ვხედავთ, ეს ციფრი შეადგენს თითქმის ⅔ ნაწილის იმ ციფრისას, რომელსაც გვიჩვენებს ფრანგი მეცნიერი ბაბე, როგორც საქართველოსათვის გამოსაყენებულ საჭირო ძალას (375 ათ. ცხ. ძალა).

მოყვანილ ციფრებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა სამუშაოებისათვის ჰიდრო-ელსადგურების ასაშენებლათ იხარჯება კარგა მოზრდილი თანხა—45 მილ. მან.

აქედან ყველასათვის აშკარა უნდა იყოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად საქართველო სდგას სახალხო მეურნეობის სრული გარდაქმნის ახალ ნიადაგზე.

ელექტრო-აღმშენებლობა მოგვცემს რკინის გზების ელექტროფიკაციას, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სრული მექანიზაციას, ქალაქების და სოფლების განათებას.

ეს შექმნის შრომის ნაყოფიერების უმწვერვალეს წერტილამდე ზრდას, ჩვენ მივიღებთ უდიდესი შედეგებს უმცირესი შრომის დახარჯვით.

ასეთია საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში მისი არსებობის ათი წლის თავზე.

ის, რაც ბევრს ჯერ კიდევ 1920 წელში მიაჩნდათ დიდ უტოპიათ, დღეს უკვე სინამდვილეა. პროგრამა, რომელიც დაედვა საფუძვლად „Гоэлро“-ს მუშაობას, განხორციელდა გადაჭარბებით.

ინგლისელი მწერალი უელსი, რომელიც თვლიდა ამ საქმეს დიდ უტოპიათ, შეთხზულს „კრემლის“ მეოცნებე ლენინისაგან, სასტიკათ დამარცხდა. ელექტროფიკაციის გეგმა კრემლის მეოცნებეთა უტოპია კი არა—ფაქტათ გადაიქცა, რომლის წინაშე იძულებულია ქედი მოიხაროს საბჭოთა ხელისუფლების შეურიგებელმა მტრებმაც კი.

ვლ. პაპავა.

# წერილი პროვინციიდან

## თანამედროვე სოფელი

მალე სამი წელი სრულდება, რაც სოფელში არ ვყოფილვარ, არ გამიგია ჩვენი სოფლის გლეხობის ჭირ-ვარამი, მათი ყოფა-ცხოვრება, მათი აზრი საზოგადოებრივ საკითხებზე, რომლებთან ერთად მისდევოდა რევოლიუციონური და საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება მთელი 20 წლის მანძილზე.

ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენი სოფელი ძლიერ გამოცვლილა, გაზრდილა ყოველმხრივ. ჩამორჩენილი გურიის სოფელი, რომელიც წინედ უდაბნოს მოგაგონებდათ, დღეს იმდენათ წინ წასულა, ისე გამშვენიერებულა, რომ ძნელი გამოსაცნობია.

ამ სამი წლის განმავლობაში, ასეთ მოკლე დროში ხელისუფლების ინიციატივით და დახმარებით და თვით გლეხობის ენერგიული მუშაობით, უკვე გაყვანილია და მოკირწყლულია შარა გზები, გაუხსნიათ ფოსტა, აუშენებიათ სახალხო სახლი, რომელიც 400-მდე კაცს იტევს, მოუწყვიათ სამკითხველო, საექიმო პუნქტი, დაუარსებიათ საკრედიტო ამხანაგობა, რომელსაც უკვე გაუშენებია რამოდენიმე დესეტინა ვენახის სანერგე და რამდენი სხვა.

ჩვენი სოფლის გლეხობას, რომელსაც ვერასდროს ვერ დაეღწია თავი სიღატაკისაგან, დღეს სრულიად გამოცვლილია, გამოცვლილია მისი ყოფა-ცხოვრება.

ჩვენი სოფლის გლეხობა, რომელიც წინედ „ახალ ამბავს“ საჯევახოდან ან სამტრედიიდან ჩამოსულ კაცს ეკითხებოდა, ეხლა ყოველდღიურად კითხულობს გაზეთს, რომელიც მათ გამოწერილი აქვთ კოლექტიურად.

თუ მას წინედ თავისი ჭირნახული გასასყიდათ ოცი და ოცდაათი ვერსის მანძილზე უნდა ეზიდა და იქაც ჩალის ფასად მიეყიდა მევახშესათვის, ეხლა თავის სოფელშივე შეუძლია გადასცეს ამხანაგობას ან კოოპერატივს წინასწარ დაწესებულ ფასებში. თუ წინედ მას არ შეეძლო საჭიროების დროს 10 მანეთის შოვა ან თუ იშოვიდა მევახშე ტყავს აძრობდა, ერთი ორად უნდა გადაეხადა, დღეს სრულიად უმნიშვნელო პროცენტით შეუძლია გამოიტანოს ამხანაგობისაგან, თუ წინედ გადასახადის მთელი სიმძიმე ღარიბ გლეხობაზე იყო დაწოლილი და მისი ერთი წლის შემოსავლის დიდი ნაწილი ამას უნდებოდა, ეხლა სრულიად თავისუფალია ყოველგვარი გადასახადისაგან.

გლეხობაში ძლიერ გაზრდილია ინტერესი საზოგადო საკითხებისადმი და სრულიად შეგნებულად უდგებიან და არჩევენ მათ. პოლიტიკურადაც იმდენად მომზადებულია დღეს გლეხობა, რომ ადვილად აღარავის შეუძლია მათი შეცდომაში შეყვანა, მათი გამოყენება. საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი იმდენად დიდია დღეს გლეხობაში, იმდენად ახლო იცნობენ მას, იმდენათ ბევრი რამ არის გაკეთებული მისი ხელმძღვანელობით და დახმარებით, რომ ის უკვე ერთგული დამცველია მისი, დღევანდელი წყობილების.

ანტისაბჭოთა განწყობილების ლიკვიდაციაში დიდი მონაწილეობა მიუძღვის ახალგაზრდებს, რომლებიც სისტემატიურად ესაუბრებიან გლეხებს სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხებზე, და დიდ ინიციატივასაც იჩენენ ადგილობრივ სასოფლო საქმეების შესრულებაში.

ვლადიმერ ყენია.

სარედაქციო კოლეგია.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.